www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 28 ივნისი, 2012 წელი. | №3050 (143) | ფასი 50 თეთრი

პოლიციელის მოსყიდვის მეორე მცდელობა

პოლიციელის მოსყიდვის მცდელობა - ეს ის ბრალდებაა, რომლის საფუძველზეც სამართალდამცველებმა კოალიცია "ქართული ოცნების" აფხაზეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი პერტენავა და პოლიტიკური პარტია "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების" აფხაზეთის ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი ზურაბ ფიფია დააკავეს.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა პოლიციელის მოსყიდვისა და გადაბირების ფაქტი "ქართულ ოცნებას" უკავშირდება.

შინაგან საქმეთა სამინიტროს ინფორმაციით, ირაკლი პერტენავა და ზურაბ ფიფია დაუკავშირდნენ შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს პირველი განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების უფროს ოპერატიულ თანამშრომლს კახა ბაღათურიას და, ფულადი ანაზღაურებისა და უსართხოების გარანტიების სანაცვლოდ, მის გადაბირებას შეეცადნენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"მასთ ქერი" "კავკასიასაც" მისწვდება

დათო გამისონია

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი, რომელიც "მასთ ქერის" პრინციპს განსაზღვრავს.

კომიტეტის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ, შესაძლოა, გაითვალისწინოს წინადადება ტელეკომპანია "კავკასიის" შესახებ. გაზეთ "რეზონანსის" მთავარი რედაქტორი ლაშა ტულუში გამოვიდა ინიციატივით, საკაბელო ოპერატორებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ტელეკომპანიებთან ერთად, ის ტელეარხებიც ჩართონ, რომელთა მაუწყებლობაც მოსახლეობის 25 პროცენტს ფარავს. **"კავკასია" რეალურად არა მხოლოდ თბილისის, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი,"** - ამბობს ლაშა ტულუში.

კანონპროექტის მომხსენებელმა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა აღნიშნა, რომ სავსებით შესაძლებელია, 25-პროცენტიანი დაფარვის პრინციპის შემოღება ოპტიმალურ ვარიანტად იქცეს. **"ამ საკითხის შესახებ აუცილებლად ვიმსჯელებთ,** - აღნიშნა წიკლაურმა და ხუმრობით დასძინა, - **"კავკასიაზე" ხსენების მაღალი კოეფიციენტი მაქვს, ამიტომ "კავკასიის" სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებას მივესალმები. რწმენით და გულით მომხრე ვარ, "კავკასიამ" ამავე პრინციპით ისარგებლოს."**

სხდომას "კავკასიის" გენერალური დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი ესწრებოდა. მან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს თავისი პოზიცია გააცნო:

"ჯერჯერობით არ ვიცი, კომიტეტზე წამოჭრილი წინადადება კოდექსში ჩაიწერება თუ არა, თუმცა იმედი მაქვს, მიიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, "კავკასია" დისკრიმინაციულ ვითარებაში აღმოჩნდება."

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სირიის პრეზიდენტის აღიარება

ხათუნა გაბიევი

სამოქალაქო ომი ქვეყანაში უკვე სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმაც აღიარა. დედაქალაქთან ახლოს, ქალაქ დრუშაში კი პროსამთავრობო კერძო ტელეკომპანია "ალ-იჰბარიაზე" გუშინ თავდასხმაც განხორციელდა. შეიარაღებული ჯგუფი სათაო ოფისში შეიჭრა, სადაც ასაფეთქებელი მოწყობილობა შეიტანა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

"დინამო" 50 წლის შემდეგ

ზურაბ თალაკვაძე

ჩვენი გუნდი, ჩვენი ემოცია, ჩვენი სიმართლე, ჩვენი ისტორია. "დინამო" ჩვენი გუნდია. 50 წლის წინ ჟენევაში ქართული გუნდი ჩავიდა. დაისვენა, წაივარჯიშა, ბიჭებმა შეუბერეს და მოიგეს. რაღაც დიდი, განსაკუთრებული, ჩვენი მოიგეს. ის "დინამოც" განსაკუთრებული, ჩვენი იყო. ქართული გუნდი რუსული პასპორტით და მაგარი ხასიათით. "დინამომ" ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის "რეალს" 90:83 დაუსვა, ესპანელ არისტოკრატებს ყური აუწია და დაისვენა.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6376⇓
1 ევრო	2.0470⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5615⇓
1 თურქული ლირა	0.9016⇓
100 რუსული რუბლი	4.9365⇓

თბილისი	29°C - 18°C
ქუთაისი	26°C - 19°C
თელავი	31°C - 16°C
ზუგდიდი	26°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	2.59	+0.02	+0.70%
გაზი	2.88	+0.11	+3.89%
ოქრო	1,575.20	+0.30	+0.02%
ხორბალი	757.50	+10.50	+1.39%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ესპანეთი ფინალშია!

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში შეხვედრებს მართავს

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ბრიუსელში ევროკომისარს ენერგეტიკის საკითხებში გიუნტერ ოტინგერს შეხვდა. "ფეისბუკში" პრეზიდენტის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საუბრის მთავარი თემა ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის, პოტენციალის როლის გააქტიურება იყო. შეხვედრაზე ევროკომისარმა აღნიშნა, რომ ევროპა საქართველოს ენერგომწარმოებელ ქვეყნად და სანდო პარტნიორად განიხილავს.

გუშინვე სააკაშვილი "ევროპის სახალხო პარტიის" პრეზიდენტ ვილფრედ მარტენსსაც შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობისა და ევროინტეგრაციის პროცესში მხარდაჭერის საკითხები განიხილეს. საუბარი შიდა პოლიტიკურ ვითარებასა და მოახლოებულ არჩევნებსაც შეეხო.

მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში ორდღიანი ვიზიტით იმყოფება, სადაც ვილფრედ მარტენსის პირადი მიწვევით "ევროპის სახალხო პარტიის" ყრილობას დაესწრება. ვიზიტის ფარგლებში ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წარმომადგენლებთნ ორმხრივი შეხვედრებია დაგეგმილი.

საქართველო მოლდავეთს გამოცდილებას უზიარებს

საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის საკითხის შესახებ მოლდავეთში გამართულ კონფერენციაზე ისაუბრეს. ქართულმა მხარემ სამართალდამცავ სისტემაში ამ მიზნით განხორციელებულ რეფორმებსა და სირთულეებზე გაამახვილა ყურადღება. კონფერენციაზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური პირები.

ღონისძიებას მოლდავეთის პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მოლდავეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სახელმწიფო მდივნის საქართველოში ვიზიტზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ჰილარი კლინტონმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება პოზიტიურ ცვლილებებზე.

დუშეთში სეტყვისგან მიყენებული ზარალის კომპენსაციას ითხოვენ

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერები გუშინ დუშეთის რაიონის სოფლების მოსახლეობას შეხვდნენ. სოფელ ბაგში შეხვედრაზე მოსახლეობამ პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ მაისის თვეში მოსული სეტყვის შედეგად მიღებული ზარალის გამო კომპენსაცია არ გადაუხადა.

"სეტყვამ ბაგის მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა, ნათესები მთლიანად გაუნადგურა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ზარალი დათვალეს, მაგრამ დაპირებული კომპენსაცია არ მისცეს. მოსახლეობა ამბობს, რომ ეს თანხა ახლა სჭირდებათ, როცა კიდევ არის შანსი, ხელახლა დათესილ ნათესებს სასუქი მიახმარონ. კომპენსაცია თუ ახლა არ მიიღეს, თუნდაც საწვავის და სასუქის სახით, მოსახლეობა წელს შეიძლება საერთოდ ულუკმაპუროდ დარჩეს," - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

"ახალი მემარჯვენეების" თქმით, მოსახლეობა უზომოდ შეწუხებულია იმით, რომ ცენტრალური გზიდან სოფლამდე გზა საშინელ მდგომარეობაშია. სოფელს წყლის პრობლემაც აქვს და სასმელ წყალს შორი მანძილიდან ეზიდებიან.

"სოფელში სკოლაც არ არის და ბავშვები მეზობელ სოფლამდე რამდენიმე კილომეტრს ფეხით დადიან. სოფელი მიკროავტობუსის დანიშვნას მოითხოვს, რათა ხალხს ცენტრამდე წასვლა ფეხით არ უწევდეს," - განაცხადა ჩიხრაძემ.

"ქართუ ჯგუფი", "ქართუ ბანკი" და "პროგრეს ბანკი" აუქციონის მოლოდინში

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან ბიძინა ივანიშვილის აქციების - "ქართუ ჯგუფში" და "ქართუ ბანკში" 100 პროცენტის და "პროგრეს ბანკში" 21.7 პროცენტის დაყადაღებას, აღსრულების ბიუროს მხრიდან მორიგი განცხადება მოჰყვა.

"თუ პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი დაყადაღებულ ქონებას არ გამოიხსნის, მისი რეალიზება აუქციონის წესით მოხდება," - ეს განცხადება აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გუშინ გაავრცელა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს პრესსამსახურის უფროსის ლილუაშვილის ინფორმაციით, "იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი ჯარიმას გადაიხდის, ყადაღა მოიხსნება, ხოლო თუ არ გადაიხდის, მაშინ, პირველ რიგში, ქონების შეფასება უნდა განხორციელდეს, შემდეგ კი, მისი აუქციონის წესით რეალიზაცია განხორციელდება."

აღსრულების ბიუროში ამ ეტაპზე არ აკონკრეტებენ, თუ როდის მოხდება ივანიშვილის ქონების შეფასება ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

"არც ასე გვეჩქარება. მას აქვს ვადა, სანამ შეფასება და სხვა ოპერაციები განხორციელდება. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ორკვირინაი ვადა მაინც იქნება", - განაცხადა ლილუაშვილმა.

მართალია, თავად ივანიშვილის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ "ქართუ ჯგუფში" და "ქართუ ბანკში" ივანიშვილს არანაირი წილი აღარ აქვს, მაგრამ იქვე განმარტავენ, რომ კანონით, დაყადაღებული ქონების საექსპერტო შეფასება და აუქციონზე გატანა 30 დღის ვადაში უნდა მოხდეს. თუმცა შესაძლებელია ეს პროცესი გადაიდოს, რადგან "ქართუ ჯგუფი" ყადაღის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვას გეგმავს.

ადვოკატი არჩილ კბილაშვილი განმარტავს, რომ აუქციონზე დაყადაღებული წილის ის რაოდენობა უნდა გავიდეს, რა ოდენობის ჯარიმაც ივანიშვილს დაეკისრა.

"კანონში ცალსახად არ წერია, თუმცა ლოგიკურად უნდა მოხდეს ყადაღის კორექტირება. თუ აღსრულების ბიურო ქონების ნაწილს გაიტანს აუქციონზე და დარჩენილ წილს მფლობელს არ დაუბრუნებს, ეს უკვე კანონდარღვევად ჩაითვლება," - აღნიშნა კბილაშვილმა.

"ქართუ ბანკში" ბიძინა ივანიშვილის წილის არსებობას უარყოფს ბანკის გენერალური დირექტორი ნოდარ ჯავახიშვილიც. ამასთან აღნიშნავს, რომ "ქართუ ბანკის" ღირებულება ბიძინა ივანიშვილისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობას აღემატება.

"ზუსტი ღირებულების შეფასებას სერიოზული აუდიტორული შესწავლა სჭირდება, თუმცა არაზუსტი მონაცემებით, ბანკის ღირებულება 75 მილიონ ლარზე დაახლოებით 3-ჯერ მეტია," - განაცხადა საინფორმაციო სააგენტო news.ge-სთან საუბარში ნოდარ ჯავახიშვილმა.

გალის შეხვედრა ისევ ჩაიშალა

ნათია მსხილაძე

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილი დღევანდელი შეხვედრა არ გაიმართება.

შეხვედრა კვლავ აფხაზურმა მხარემ ჩაშალა,

ბოიკოტის მიზეზი კი საქართველოში ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ანდჟეი ტიშკევიჩია. იგი სოხუმმა "პერსონა ნონ-გრატად" გამოაცხადა და მას შემდეგ აღნიშნული ფორმატის მოლაპარაკებები შეწყვეტილია. ევროპულ სახელმწიფოთა მაღალი რანგის წარმომადგენლები ინტენსიურად ჩადიან ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, რათა ადგილობრივი მარიონეტული რეჟიმი შეხვედრების განახლებაზე დაიყოლიონ, თუმცა ეს მცდელობები უშედეგოა.

შეხვედრების ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით ევროკავშირის სადამკვირებლო მისიამ მხარეებს შესთავაზა, შეხვედრები დელეგაციების ხელმძღვანელთა მოადგილეების დონეზე გამართონ, მაგრამ დღევანდელი შეხვედრის შესახებ შეთანხმების მიღწევა მაინც ვერ მოხერხდა.

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ანტი ტურუნენის განცხადებით, მოლაპარაკებებზე რიგი "ტექნიკური საკითხების" განხილვა იყო დაგეგმილი.

"ყველანაირად ვცდილობთ, გამოვნახოთ გზები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, დავამთავროთ ყველა ტექნიკური საკითხის განიხილვა. ეს შეხვედრა ექსპერტების დონეზე უნდა ჩატარებულიყო," - განაცხადა ტურუნენმა.

ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტულმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ არგუმენტი რომ ვერ მოძებნა, საქართველოს მიერ ტერორისტული ქმედებების განახლების გამო შეშფოთება გამოთქვა და გალის რაიონში დაძაბულობის ესკალაციაზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დააკისრა. **"ჟენევის მოლაპარაკების სხვა მხარეებს, განსაკუთრებით აშშ-ს დელეგაციას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლებს მოვუწოდებთ, აიძულონ საქართველო, შეწყვიტოს აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტები, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციას და ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლას. აღნიშნულ რეგიონში ტერაქტების სტატისტიკური მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო აფხაზეთის მოსახლეობის დაშინების მიზანმიმართულ კამპანიას აწარმოებს. დაშინების პროცესი განსაკუთრებით მიმართულია იმ პირებისკენ, რომლებიც აფხაზეთის კანონიერ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ და ასევე სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა ლიკვიდაციისკენ,"** - ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

"სახალხო კრება", შაშიაშვილიანად, ივანიშვილთან ითანამშრომლებს

მაგდა ლეკიაშვილი

ხუთსაათიანი დახურული მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ "სახალხო კრების" წევრი თემურ შაშიაშვილი კრებაში რჩება. როგორც "კრების" წევრები ამბობენ, ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და მედიასაშუალებებმა თემურ შაშიაშვილის სიტყვების ინტერპრეტირება მოახდინეს. "სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს ხელმძღვანელის ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, ცნობილია, რომ ბატონი თემური ჩამოყალიბებულ პოლიტიკოსად მიიჩნევს როგორც ლუკა კურტანიძეს, ისე სოსო ჯაჭვლიანს. შესაბამისად, გაფრინდაშვილი თანაგუნდელის გამოსვლას ემოციურს უწოდებს და დასძენს, რომ შაშიაშვილი კურტანიძეს არ გულისხმობდა.

"არც თემურ შაშიაშვილის "სახალხო კრებიდან" გასვლის საკითხი დასმულა. კრება რჩება ერთიანი," - ამბობს ნონა გაფრინდაშვილი.

"თეთრების" ლიდერ თემურ შაშიაშვილის "სახალხო კრებასთან" გამიჯვნის შესახებ, ბოლო რამდენიმე დღეა, სუბრობენ. ამის მიზეზი გახდა თემურ შაშიაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება, პარლამენტი სპორტსმენებით, მწერლებითა და მსახიობებით გაავსო. ამ გამოსვლას "სახალხო კრების" ერთ-ერთმა ლიდერმა ლუკა კურტანიძემ უპასუხა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა რეგიონში მაჟორიტარობა შესთავაზა. გამარჯვების შემთხვევაში კურტანიძე პარლამენტში შესვლასაც აპირებს.

"ვისაც სიტყვები წინ უსწრებს, მან ამაზე საკადრისი პასუხი უნდა მიიღოს. ბატონმა თემურმა საზოგადოებას ამცნო, რომ თურმე არ არის ჩვენი ადგილი პოლიტიკაში," - განაცხადა კურტანიძემ. თემურ შაშიაშვილმა კი გუშინ აღნიშნა, რომ კრება პოლიტიკური ორგანიზაცია არ არის, სადაც ყველა ერთსა და იმავე პოზიციაზე უნდა იდგეს. მისივე თქმით, მას რიგ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები აქვს, თუმცა "სახალხო კრების" ძალა განსხვავებულთა ერთობაშია.

"მე კიდევ ერთხელ გამოვაქვეყნე ჩემი ის გამოსვლა, რომელმაც აჟიოტაჟი გამოიწვია. ვრჩები ჩემს გადაწყვეტილებაზე და ვფიქრობ, რომ არც დიდი მწერალი, არც სპორტსმენი, არც ექიმი უნდა იყოს პარლამენტში. ლუკა კურტანიძემ ეს თავის თავზე მიიღო, მაგრამ მინდა, ვთქვა, რომ კურტანიძე დიდი ხანია, პოლიტიკაშია, ის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსია და მას ეს ნათქვამი არ ეხებოდა," - განაცხადა თემურ შაშიაშვილმა. მისივე თქმით, "სახალხო კრებაში" მთავარი უთანხმოება სხვა საკითხზეა. კერძოდ, უნდა შეიქმნას თუ არა ახალი ძალა, რომელიც არჩევნებში ხელისუფლებას დაუპირისპირდება. შაშიაშვილი ამბობს, რომ კურტანიძეს ასეთი ძალის შექმნა არ სურს, "თეთრების" ლიდერი კი ამის მომხრეა. შაშიაშვილი დასძენს, რომ ბიძინა ივანიშვილის გაპრეზიდენტებას, გაპრემიერებას ან ნებისმიერ სხვა თანამდებობაზე დანიშვნას მხარს დაუჭერს, მაგრამ არ სურს, ივანიშვილი პარლამენტში უმრავლესობით შევიდეს.

ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობის შესახებ გუშინ "სახალხო კრების" სხდომის დასრულების შემდეგ "დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმაც ისაუბრა. მართალია, ბიძინა ივანიშვილს პირადად ნინო ბურჯანაძისთვის არ შეუთავაზებია თანამშრომლობა, თუმცა "კრების" წევრების მაჟორიტარებად დასახელების სურვილი გამოთქვა. ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ "კრებასა" და "ქართულ ოცნებას" შორის თანამშრომლობა შედგა. ბურჯანაძე კი "სახალხო კრების" განუყოფელი ნაწილია.

"ის რომ "სახალხო კრება" ერთიანობაზე საუბრობს, ის რომ ლუკა კურტანიძე და სოსო ჯაჭვლიანი სწორედ "კრების" გადაწყვეტილებით აპირებენ მოქმედებას, მიუთითებს "სახალხო კრების" ერთიანობაზე ამ საკითხშიც. თუ "სახალხო კრების" ლიდერთა ნაწილი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გუნდის მაჟორიტარებად იყრის კენჭს, ეს საერთო გადაწყვეტილება იქნება, რაც, შესაბამისად, იმას ნიშნავს, რომ სიღრმისეულად თუ ნაწილობრივ სიღრმისეულად "ქართულ ოცნებასთან" თანამშრომლობა შედგა," - ამბობს ნინო ბურჯანაძე. მისივე თქმით, კურტანიძისა და ჯაჭვლიანის გარდა, სხვა ლიდერების მაჟორიტარობაზეც არის საუბარი, თუმცა ბურჯანაძე მათ გვარებს ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ჯარიმა "ქართულ ოცნებაში" შემავალ პარტიებს

2 383 097 ლარი - ეს ის თანხაა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ, კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის მიერ შედგენილი სამართალდარღვევების ოქმის საფუძველზე, "ქართულ ოცნებაში" შემავალ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ მოძრაობა "ქართულ ოცნებას" ჯარიმის სახით დააკისრა.

კონტროლის პალატამ "ქართულ ოცნებაში" შემავალი პოლიტიკური სუბიექტები სამართალდამრღვევებად რამდენიმე დღის წინ ცნო და ადმინისტრაციული საქმის მასალები, შემდგომი განხილვის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა.

კონტროლის პალატაში განმარტავენ, რომ შპს "მენეჯმენტ სერვისმა" საკუთარი სახსრებით დაიქირავა და 476 614,51 ლარის სარემონტო სამუშაოები ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ კოალიცია "ქართული ოცნების" საოფისე ფართებში, რომლითაც დღემდე სარგებლობენ პოლიტიკური სუბიექტები - საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნება", კოალიცია "ქართულ ოცნებაში" შემავალი პარტიები - "რესპუბლიკური პარტია", "ეროვნული ფორუმი", "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები", "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", "კონსერვატიული პარტია" და "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

კონტროლის პალატაში აცხადებენ, რომ ამ შემთხვევაში, სახეზეა "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.

მაკონტროლებელი უწყების მოთხოვნა, სასამართლომ გუშინ დააკმაყოფილა და შპს "მენეჯმენტ სერვისის" მიერ პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლოდ განხორციელებული უსასყიდლო მომსახურება უკანონო შეწირულობად ცნო.

კოალიცია "ქართული ოცნების" ინტერესების დამცველები სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და როგორც განმარტავენ, არც ზემდგომი ინსტანციის იმედი აქვთ, თუმცა, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას, მომავალში საერთაშორისო დაცვის მექანიზმების გამოყენების მიზნით, მაინც გაასაჩივრებენ.

კოალიცია "ქართული ოცნების" ადვოკატები ირწმუნებიან, რომ კოალიციაში შემავალი რომელიმე პოლოტიკური პარტიის დაჯარიმების არანაირი საფუძველი სასამართლოს არ ჰქონდა. მათივე თქმით, "მენეჯმენტ სერვისთან" გაფორმებული ყველა ხელშეკრულება კანონიერია.

"არსებულ 60 ხელშეკრულებაში, მათ შორის, იმ 22 სადავო ხელშეკრულებებშიც, რომელზეც კონტროლის პალატა, როგორც დარღვევაზე საუბრობს, არსად წერია, რომ ოფისების გარემონტება უსასყიდლოდ, ან შეღავათიანი პირობებით მოხდა," - აცხადებენ ადვოკატები.

კონტროლის პალატაში განმარტავენ, რომ "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, თუ შემოწირულების მიღებით ირღვევა ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები, პარტია ვალდებულია, თანხა 5 დღის ვადაში დაუბრუნოს შემომწირველს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, პარტიას კი დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

"საქართველოს კონტროლის პალატის მიზანია დარღვევების პრევენცია და არა სანქციების გამოყენება, უკანონო შემოწირულობის მიმღებ პოლიტიკურ პარტიებს წერილობით მიეცათ წინადადება პროპორციულობის პრინციპის დაცვით, უკანონო შემოწირულება შემომწირველისთვის დაებრუნებინათ. თუმცა, ზემოთ აღნიშნულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უარი განაცხადეს ორგანული კანონის დაცვაზე," - ნათქვამია კონტროლის პალატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც კოალიცია "ქართული ოცნების " ინტერესების დამცველი ალექსანდრე ბარამიძე ამბობს, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს სოლიდური ჯარიმა დაეკისრათ, ამ პარტიების საქმიანობას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

გუშინ სასამართლოს მიერ გამოტანილი კიდევ ორი გადაწყვეტილება გახდა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გერმანიაში მცხოვრებ ბიძინა გიორგობიანს კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმის თანხა გაუნახევრა, ფონდ "ქომაგს" კი ყადაღა არ მოუხსნა.

უწყებათაშორისი კომისია მერეთში მომხდარ ინციდენტს ეხმაურება

უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო ნებისმიერ ძალადობრივ გამოვლინებას გმობს.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა, რაც ნებისმიერი შეხედულებისა და აზრის თავისუფალ გამოხატვას გულისხმობს. პოლიტიკური პლურალიზმი და თავისუფალი საარჩევნო გარემო სამართლიანი არჩევნების მთავარი წინაპირობაა," - აღნიშნულია უწყებათაშორისი კომისიის განცხადებაში.

მასში ასევე ნათქვამია, რომ უწყებათაშორის კომისიას რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ, მათ შორის მმართველმა პარტიამ ადრეც მიაწოდა ინფორმაცია, რომ წინასაარჩევნო შეხვედრების დროს ადგილი ჰქონდა სხვა პოლიტიკური ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საპირისპირო აქციებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. უწყებათაშორისი კომისია მოუწოდებს პოლიტიკურ ძალებს და მათ მხარდამჭერებს, შეეცადონ, საჯარო აქციები ისე წარიმართოს, რომ განსხვავებული შეხედულების მქონე პირებს შორის მაქსიმალურად იყოს დაცული დისტანცია, რათა აქციების მონაწილეთა ფიზიკური დაპირისპირების საფრთხეები შემცირდეს. კომისია ასევე მოუწოდებს პოლიციას, ყურადღება მიაქციოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხარდამჭერთა მიერ ორგანიზებულ აქციებს, მიიღოს სათანადო ზომები და დროული რეაგირება მოახდინოს განსხვავებული შეხედულებების მქონე მოქალაქეებს შორის ფიზიკური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად.

ცნობისათვის - 26 მაისს გორის რაიონის სოფელ მერეთში კოალიცია "ქართული ოცნების" მომხრეებსა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე მოქალაქეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. პოლიციამ ინციდენტში მონაწილე ოთხი პირი დააკავა.

ბიძინა ივანიშვილი კარნეგის ფონდის დელეგაციას შეხვდა

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი კარნეგის ფონდის დელეგაციას შეხვდა. ბიძინა ივანიშვილის "ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრას კარნეგის ფონდის ევრაზიისა და რუსეთის პროგრამის დირექტორი ჯეიმს კოლინსი, მისი მოადგილე მეთიუ როიანსკი, კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსი სპეციალისტი ტომას დე ვაალი და ყოფილი ფინეთის ელჩი მოსკოვსა და ბერლინში რენე ნაიბერგი ესწრებოდნენ.

ზაზა გოროზია სამეგრელოში ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა

სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ახლად გაშენებულ კივის პლანტაციაში ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრი ფერმერებს სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე პროექტების შესახებ ესაუბრა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, 24 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გაშენებული ბაღი შპს "ნერგეტას" კუთვნილებაა. მეურნეობაში ახალზელანდიური ჯიშის კივის ნერგები გასულ წელს დარგეს და პირველ მოსავალს 2013 წლის ნოემბერში ელოდებიან.

კივის პლანტაცია უახლესი ტექნოლოგიით - დაწვიმების სარწყავი სისტემით ირწყვება. პლანტაციაში უკვე განხორციელდა ნიადაგის ზედაპირული დამუშავება და სავეგეტაციო გასხვლა-ფორმირების პროცესი.

კივის პლანტაციაში 26 ადგილობრივია დასაქმებული, რომელთაგან 13 იძულებით გადაადგილებული პირია. მწარმოებლები ქართული კივის ადგილობრივ ბაზარზე და ქვეყნის ფარგლებს გარეთ რეალიზაციას გეგმავენ.

ხაშურს ლიტვისა და იაპონიის ელჩები ეწვივნენ

ხაშურის მუნიციპალიტეტს ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იონას პასლაუსკასი და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მასაიოში კამოჰარა სტუმრობდნენ. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, საპატიო სტუმრები საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სერგო ქიტიაშვილმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ სახვაძემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძემ მიიღეს.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა დაათვალიერეს, სადაც ლიტვური მხარის მხარდაჭერით რამდენიმე პროექტი განხორციელდა. ელჩებმა დაათვალიერეს ხაშურის პირველი საბავშვო ბაღი და ბაღის შენობის შესაძლო რეაბილიტაციის პროექტზეც იმსჯელეს.

"მასთ ქერი" "კავკასიასაც" მისწვდება

პირველი გვერდიდან

როგორც ნინო ჯანგირაშვილი ამბობს, თუ საპარლამენტო უმრავლესობა "კავკასიისთვის" მისაღებ ნორმას არ შემოიღებს, ეს ტელეკომპანიისთვის გახდება სტიმული, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიის მოხოვნით მიმართოს.

"თუ პარლამენტი კანონპროექტს არსებული სახით მიიღებს, "კავკასია" მთელი ფინანსების მობილიზაციას მოახდენს და სატელიტურ ლიცენზიას აიღებს. ნამდვილად არ ვაპირებ, ტელეკომპანია ვაზარალო. თუ დამჭირდება, სიგნალს ნებისმიერი ხერხებით, წყალქვეშა ნავით გავავრცელებ, - ამბობს ნინო ჯანგირაშვილი, - **თუმცა, "კავკასიას" დიდი ფინანსები არა აქვს, ამიტომ კანონმდებლობით უფრო იაფად მაუწყებლობის საშუალება უნდა მოგვეცეს."**

კომიტეტის სხდომაზე კი კომპანიის "ეს შენ გეხება" წარმომადგენლებმა პროექტში რამდენიმე შესწორების შეტანა მოითხოვეს. მათი წინადადებით, უნდა გაიწეროს სანქციები, რომლებიც საკაბელო ოპერატორ კომპანიებზე იმ შემთხვევაში გავრცელდება, თუ ისინი "მასთ ქერის" პრინციპს არ დაემორჩილებიან. "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა პირველ შემთხვევაზე - 25 000 ლარით, მეორეზე კი 75 000 ლარით დაჯარიმების შემოღება მოითხოვა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ფინანსური სანქციის დაწესებას ქმედით მექანიზმად არ მიიჩნევს. მისი აზრით, გაფრთხილება და შემდეგ ავტორიზაციის ან ლიცენზიის შეჩერება უფრო შედეგიანი იქნება.

კუბლაშვილი "მასთ ოფერის" პრინციპის შემოღების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადებასაც იზიარებს და ფორმულირების სახით წარმოდგენას სთავაზობს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, შესაძლოა, ხელისუფლებამ გაიზიაროს, ტელეკომპანიებსა და საკაბელო ოპერატორებს შორის წამოჭრილი დავების განსახილველად მაქსიმალურად მოკლე ვადების დაწესებაა.

საპარლამენტო უმრავლესობას ერთადერთ საკითხზე ჰქონდა შეუვალი პოზიცია. სამოქალაქო სექტორიც და ოპოზიციაც ითხოვდნენ, "მასთ ქერის" პრინციპი არა მხოლოდ არჩევნების დღემდე, არამედ საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე ყოფილიყო ძალაში. როგორც ექსპერტმა კახი კახიშვილმა აღნიშნა, იმისთვის, რომ არჩევნებს მოქალაქეებმა ლეგიტიმაცია მიანიჭონ, "მასთ ქერის" პრინციპი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე უნდა მოქმედებდეს.

ვიცე-სპიკერი "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ხელისუფლებას ურჩევს, მაუწყებლობა არჩევნების დღეს არ გათიშოს. "მოსახლეობას, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ყველა ტელეარხს ადევნებდა თვალყურს, ამის შემდეგ საკაბელოდან არხების გათიშვა გააღიზიანებს," - აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

ნუგზარ წიკლაურის თქმით, პოლიტიკური ცხოვრება არჩევნების შემდეგ მუდმივად გრძელდება და ამ მხრივ გამონაკლისის დაშვება გაუმართლებელია. პავლე კუბლაშვილი კი აღნიშნავს, რომ წინასაარჩევნოდ საქართველოს კანონმდებლობის სულისკვეთება ამომრჩეველთა ინფორმირებაზეა ორიენტირებული. მისი თქმით, უფასო სარეკლამო დროც ამ პრინციპით მოქმედებს და არჩევნების წინა დღეს წყდება.

ვეფხვაძე ასევე გამოვიდა ინიციატივით, რომ საკაბელო ოპერატორებმა ყველა ტელეარხის მაღალი ხარისხით რეტრანსლირება უზრუნველყონ.

პავლე კუბლაშვილის თქმით, თუ გამოვლინდება, რომ რომელიმე საკაბელომ მაუწყებლობის ხარისხი შეგნებულად გააუარესა, მის წინააღმდეგ სანქციები ამოქმედდება.

იურიდიული კომიტეტი ასევე შეიმუშავებს "მასთ ქერის" პრინციპის მოქმედების წესს იმ შემთხვევისთვის, თუ არჩევნების მე-2 ტური ან შუალედური არჩევნები დაინიშნება.

კანონპროექტს დღეს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილავენ.

პოლიციელის მოსყიდვის მეორე მცდელობა

პირველი გვერდიდან

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფარულად ჩაწერილი ვიდეომასალაც გაავრცელა, სადაც კარგად ისმის, თუ როგორ სთავაზობენ დაკავებულები შსს-ს ოპერატიულ თანამშრომელს "შიგნიდან ფასეული ინფორმაციების" მიწოდებას. საუბარია, დაგეგმილ და მიმდინარე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე.

"არავინ თქვას, დღეს სისტემა ისეა დალაგებული, რომ ხუთიანზე იმართება... საკმარისია, გადაგიხადო ფული, გახსნი ლუბოი სიტუაციას. დღეს გადაგიხდი ფულს და ხვალ, ხვალ თუ არა - ზეგ ყველას ჩაუშვებ. გაყიდულია ყველა, ვინც უკან დგას... ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, თქვენ დაცულები იქნებით... " - აცხადებს ბაღათურიასთან საუბარში დაკავებული ზურაბ ფიფია.

ამავე ვიდეომასალაში ირაკლი პერტენავა ბაღათურიას ატყობინებს, რომ ინფორმაციის ფარულად მოპოვების მიზნით, მათ შემოტანილი აქვთ სხვადასხვა ყოველდღიური მოხმარების საგნებში - "ბრელოკებში", ქამრის ბალთებსა და საკეტებში ჩასამონტაჟებელი მოსასმენი აპარატურა.

"ირაკლი პერტენავა და ზურაბ ფიფია ბრალდებულები არიან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მომზადებაში," - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რაც შეეხება ცოტა ხნის წინ ასევე "ქართული ოცნების" სახელთან დაკავშირებულ პოლიციელის მოსყიდვის კიდევ ერთ ფაქტს, კასპის რაიონის იგოეთის განყოფილების ყოფილ ოპერატიულ თანამშრომელს ლაშა კურტანიძეს, რომელმაც, თავდაპირველად, გამოძიებასთან ითანამშრომლა და შემდეგ მიიმალა, წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა. ის ძებნილად გამოცხადდა.

წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული ასევე ზაზა ჭელიძეს, რომელიც, პოლიციის ინფორმაციით, ლაშა კურტანიძეს კოლეგების ფარულ ჩაწერას და ასევე პოლიციის სპეციალური თათბირების ფარულად გადაეღებას ავალებდა.

ჯანდაცვა ყველას - ამოცანის გადაჭრის სამი მთავარი პრინციპი

ზურაბ ჭიაბერაშვილი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ქართული ჯანდაცვის სადაზღვევო პრინციპზე გადაყვანამ ქვეყანაში სრულიად ახალი შესაძლებლობები შექმნა თითოეული მოქალაქისათვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ ტრადიციული სფეროს განვითარებისთვის. ძალიან მცირე დროის განმავლობაში საქართველოში განახლდა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი: აშენდა და გარემონტდა საავადმყოფოები, ახალი თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა თითოეული მათგანი.

ჯანდაცვის მიმდინარე რეფორმამ შესაძლებელი გახადა, რომ ჩვენს მოქალაქეებს აღარ მოუწიოთ თბილისსა და რამდენიმე დიდ ქალაქში ჩამოსვლა საიმისოდ, რომ ელემენტარული მკურნალობა ჩაიტარონ. უდავოა, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი და თბილისი კვლავაც დარჩებიან რეფერალურ ცენტრებად, სადაც რთულ დაავადებებს ვუმკურნალებთ, მაგრამ ონიდან ან ხულოდან, წალკიდან ან ლაგოდეხიდან, ჩხოროწყუდან ან თერჯოლიდან ადამიანებს არ მოუწევთ თუნდაც სატრანსპორტო ხარჯების გაღება, რომ ანალიზი აიღონ ანდა ექიმთან კონსულტაცია გაიარონ.

ჯანდაცვის გეოგრაფიულმა გაფართოებამ ჩვენს წინაშე ახალი ამოცანები დააყენა.

პირველ რიგში, ესაა მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რისთვისაც, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, მუდმივად ფართოვდება სახელმწიფოს ხარჯზე დაზღვეულთა წრე: 2012 წლის 1 სექტემბრიდან ასაკით პენსიონერები, 0-დან 5 წლის ჩათვლით ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სტუდენტები - უკლებლივ ყველა იქნება სახელმწიფოს მიერ დაზღვეული. ჯანსაღი ტენდენციაა ისიც, რომ განუხრელად იზრდება იმათი რაოდენობაც, ვისაც აქვს შემოსავალი და თავისი ჯიბიდან იხდის სადაზღვევო პოლისის საფასურს.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ განუხრელად გაიზარდოს დაზღვეულთა რაოდენობა და საქართველოს ყველა მოქალაქე დაფარული იყოს დაზღვევით.

ჯანდაცვის გეოგრაფიულმა გაფართოებამ იმავდროულად დაგვანახა, რომ ინფრასტრუქტურის განახლება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ნაბიჯი იყო იმისათვის, რომ ქართული ჯანდაცვა პრინციპულად ახალ საფეხურზე ავიდეს და მაღალი დონის, თანამედროვე, კვალიფიციური მკურნალობა შესთავაზოს თითოეულ დაზღვეულს, თითოეულ პაციენტს, თითოეულ მოქალაქეს.

მაღალი დონის, თანამედროვე, კვალიფიციური მკურნალობა დღესაცაა შესაძლებელი საქართველოს რამდენიმე საავადმყოფოში, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, რომ მესტიელს ან შუახეველს, მარნეულელს და ახალციხელს, ამბროლაურელს ან ახმეტელს ისეთივე სტანდარტებით ვუმკურნალოთ მათსავე საცხოვრებელი სახლიდან 20-30 კილომეტრში, როგორც ვუმკურნალებდით ზუგდიდსა თუ თბილისში, ბათუმსა თუ ქუთაისში.

ამ მნიშვნელოვანი ამოცანის მისაღწევად, საჭიროა:

- ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაციაზე მუდმივად ზრუნვა;
- საავადმყოფოებში მკურნალობის სტანდარტების დანერგვა;
- ელექტრონულ ჯანდაცვაზე მეთოდურად გადასვლა.

თბილისში, დიღმის შესასვლელში, უკვე დაწყებულია ეროვნული სიმულაციური ტრენინგ-ცენტრის მშენებლობა, სადაც კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გავლის შესაძლებლობა ყველა ექიმსა და ექთანს ექნება.

ექიმებთან და ექთნებთან ერთად, ეროვნული სიმულაციური ტრენინგ-ცენტრის დროულად მწყობრში შესვლით, სადაზღვევო კომპანიები, საავადმყოფოთა მმართველები და მენეჯერები არიან დაინტერესებულნი, რადგანაც, პირველ რიგში, მათ უნდა სურდეთ, რომ დაზღვეულებსა და პაციენტებს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი ემსახურებოდეს.

ჯერ ერთი, რეფორმის შედეგად ჯანდაცვის სფეროში კონკურენტული გარემო შეიქმნა და, ინვესტიციების ზრდის პარალელურად, კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება. მეორეც, სადაზღვევო კომპანიებს, საავადმყოფოთა მმართველებსა და მენეჯერებს ურჩევნიათ, ფული ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაციის ამაღლებაში, გადამზადებასა და სწავლაში დახარჯონ, ვიდრე თუნდაც ერთი არაკვალიფიციური ექიმის ანდა ექთნის უხეში შეცდომის გამო, უზარმაზარი ჯარიმების გადახდა მოუწიოთ.

ჯარიმებს რომ თავი დავანებოთ, აქ სასწორზე ჩვენი მოქალაქეების, თითოეული პაციენტის ჯანმრთელობა და სიცოცხლე დევს ისევე, როგორც მთლიანად ჯანდაცვის სფეროს პრესტიჟი და ყოველი ექიმისა და ექთნის რეპუტაცია და ავტორიტეტი.

საზოგადოებას შეიძლება ძალიან მარტივად ავუხსნათ, რომ ყველა დაავადებას აქვს გართულებისა და სიკვდილიანობის თავისი რისკი და რომ ჯანდაცვის ვერც ერთი სისტემა, რაგინდ განვითარებული და წარმატებული, ვერ უზრუნველყოფს ყველა პაციენტის განკურნებას. მაგრამ ჩემგანაც და თითოეული ექიმისგანაც ამ სიტყვებს საზოგადოება დაიჯერებს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული იქნება სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციაში.

უფრო მეტიც, იმ ქვეყნებში, სადაც ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაციის თაობაზე კითხვები არ ისმება, არსებობს სამედიცინო პერსონალის პროფესიული დაზღვევა. ექიმმა შეიძლება მკურნალობა პროფესიულად, სამედიცინო აუცილებლობის ფარგლებში განახორციელოს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიოს. მაგრამ აქაც იგივე უნდა გავიმეორო: სადაზღვევო კომპანიები სამედიცინო პერსონალს პროფესიულად დაზღვევენ მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებულნი იქნებიან სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციაში.

(სხვათა შორის, სულ უფრო მეტ და მეტ საავადმყოფოში ვხედავ იმ ფატს, რომ თავად იმ საავადმყოფოს პერსონალს აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, რაც ასევე მისასალმებელი ტენდენციაა.)

ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაციასთან პირდაპირ კავშირშია ავადმყოფობის მკურნალობის (კლინიკური მდგომარეობის მართვის) სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), როგორც კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციის (გაიდლაინის) საფუძველზე შემუშავებული მკურნალობის მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები და მოქმედებათა თანამიმდევრობა.

მკურნალობის სტანდარტების საავადმყოფოებში დანერგვა, ერთი მხრივ, ქმნის პაციენტის უსაფრთხოების გარანტიას - პაციენტმაც და მისმა პატრონმაც იცის, რომ პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო დახმარება ადეკვატური იყო.

იმავდროულად, ექიმი თავდაჯერებულია, თუკი მან ავადმყოფის მკურნალობა პროტოკოლის მიხედვით წარმართა. მის მიერ გაწეული მკურნალობის ხარისხში ეჭვს ხელაღებით ვერავინ შეიტანს, რადგან მან ეს მკურნალობა სამედიცინო აუცილებლობის ფარგლებში განახორციელა.

და კიდევ ერთი: პროტოკოლი, როგორც მკურნალობის სტანდარტი, წარმოადგენს საავადმყოფოს ან მისი რომელიმე თანამშრომლის მთავარ ინსტრუმენტს სადაზღვევო კომპანიებთან და სხვადასხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობისას, როცა სადავოა პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი და/ან ფასი.

დღეს ექიმის მიმართ პრეტენზიას გამოთვამს პაციენტიც (არაა დარწმუნებული, ჩაუტარდა თუ არა შესაბამისი მკურნალობა) და სადაზღვევო კომპანია (არაა დარწმუნებული, რომ ექიმმა დაზღვეულს უამრავი პროცედურა მხოლოდ იმ მიზნით არ ჩაუტარა, რომ რაც შეიძლება მეტი ფული "წაეგლიჯა" სადაზღვევო კომპანიისთვის). მკურნალობის სტანდარტების დანერგვა ამ ორივე პრობლემას მნიშვნელოვნად ამცირებს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის 177-ე დადგენილებით, კლინიკებს დაევალათ, რომ 1 სექტემბრიდან დანერგონ თავიანთი პროფილის შესაბამისი მკურნალობის სტანდარტები. საერთაშორისო პრაქტიკაა და საქართველოშიც ასეა, რომ მკურნალობის სტანდარტებს - პროტოკოლებს შესაბამისი სამედიცინო დარგის პროფესიული ასოციაციები წერენ.

მთავრობის შემხვედრი ნაბიჯი ამ საკითხში იმით გამოიხატა, რომ პროტოკოლების შექმნის ხელშეწყობისთვის დაარსდა საგრანტო პროგრამა ექიმთა დარგობრივი ასოციაციებისათვის. იმის მიუხედავად, რომ მკურნალობის სტანდარტების - პროტოკოლების დანერგვა კლინიკების უშუალო ვალდებულებაა, მთავრობამ ეს ნაბიჯი გადადგა იმიტომ, რომ კიდევ ერთ ასპექტში დაეხმაროს კერძო პრინციპებზე გადასულ ჯანდაცვის სექტორს.

თუ საავადმყოფოში დანერგილია მკურნალობის სტანდარტი-პროტოკოლი, ამ პროტოკოლს ებმება ეკონომიკური სტანდარტი, ხოლო ეკონომიკურ სტანდარტს - ტარიფი. შესაბამისად, საავადმყოფოსა და სადაზღვევო კომპანიას შორის ურთიერთობა და ფინანსური ანგარიშსწორება მარტივდება და გამჭვირვალე ხდება.

ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაციაზე მუდმივად ზრუნვა და საავადმყოფოებში მკურნალობის სტანდარტების დანერგვა წინაპირობაა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის, როგორიცაა ელექტრონულ ჯანდაცვაზე მეთოდურად გადასვლა.

პაციენტზე ორიენტირებული ელექტრონული ჯანდაცვის სისტემა ერთმანეთთან დააკავშირებს სადაზღვევო კომპანიებს, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს, ფარმაცევტულ დაწესებულებებს და მარეგულირებელ ორგანოებს.

ელექტრონული ჯანდაცვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ელექტრონული სამედიცინო ისტორიების სისტემა, რომელშიც აისახება პაციენტის ჯანმრთელობის სრული ისტორია. სისტემა საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, უწყვეტად და მარტივად მიიღონ ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის, წარსულში მიღებული სამედიცინო მომსახურებებისა და სამკურნალო საშუალებების შესახებ, რაც გაზრდის მათი ჯანმრთელობის დაცვის ხარისხს.

ჩვენ ვგეგმავთ, უკვე მომავალ წელს მოვახდინოთ ავადმყოფობის ელექტრონული ისტორიების სისტემის პილოტირება რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში და შემდგომ დავიწყოთ მისი დანერგვა მთელ ქვეყანაში.

ჩვენ ძალიან ამბიციურ გეგმებს ვსახავთ, რადგან არ გვაქვს უფლება, ფეხი არ ავუწყოთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, განსაკუთრებით - მედიცინის სფეროში. რაც გაკეთდა მხოლოდ ჯანდაცვის სფეროში (აღარაფერს ვიტყვი სხვა სფეროებზე), იმის მნიშვნელოვან შედეგებს უკვე გრძნობს საქართველოს ბევრი მოქალაქე. ჩვენი ამოცანაა, ქვეყნის აღმშენებლობის პროცესით მიღწეული კეთილდღეობით ყველა მოქალაქემ ისარგებლოს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების უკანასკნელი სტარტი

მარი ახსიაშვილი

დღეს მთელი საქართველოს მასშტაბით ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება. აბიტურიენტები პირველად ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსინჯავენ ძალებს. გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა, წელს ტრადიციულად ჩატარდება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო, გრანტის გაუმჯობესების მსურველთა და სამაგისტრო გამოცდები. პედაგოგები საკუთარ უნარებს 2 ივლისს გამოცდიან, გრანტის მაძიებლები - 6 ივლისს, ხოლო 12-13 ივლისს გამოცდებზე მაგისტრანტობის კანდიდატები გავლენ.

2012 წლის გამოცდებისა და ტესტირების პროცესში დასაცავი წესების შესახებ გუშინ ბრიფინგი გამართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ხატია დეკანოიძემ.

მინისტრის განცხადებით, ყველა საგამოცდო ცენტრი საგამოცდო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის სრულ მზადყოფნაშია, სისტემა გამართულია გამოცდების შეუფერხებლად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

მინისტრის ინფორმაციით, 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 35 000-ზე მეტი აბიტურიენტი და გრანტის გაუმჯობესების მიზნით 5000-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა. სასერტიფიკაციო გამოცდას 40 000-მდე მასწავლებელი გაივლის, ხოლო სამაგისტრო გამოცდას, დაახლოებით, 7500 სტუდენტი ჩააბარებს.

2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რამდენიმე სიახლეა.

წელს, პირველად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაცია აპლიკანტებმა მხოლოდ ინტერნეტით, სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge) გაიარეს. გარდა ამისა, მეორადი ჩარიცხვები გაუქმდა და აბიტურიენტებს, შვიდის ნაცვლად, თავიდანვე ოცი სასურველი ფაკულტეტის არჩევის საშუალება ჰქონდათ. ასევე, წელს მეოთხე არჩევით საგნად უმაღლესმა სასწავლებლებმა მხოლოდ მაპროფილებელი სავალდებულო საგნები დააწესეს.

10 პროცენტით გაიზარდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე - შესაბამისად, ამ ფაკულტეტებზე ჩაბარების მსურველებმა სამ საგანში - 35-პროცენტიანი, ხოლო მეოთხეში, უცხოურ ენაში, 30-პროცენტიანი ბარიერი უნდა გადალახონ. ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები 25 აგვისტოს გამოცხადდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცნობით, დღეს საქართველოს მასშტაბით 12 ქალაქში 17 საგამოცდო ცენტრი იხსნება. საგამოცდო ცენტრებში 850-მდე ვიდეოთვალი დამონტაჟდა და 9000-ზე მეტი ახალი მერხი განთავსდა. საგამოცდო პროცესს 1300-მდე კურატორი და დამკვირვებელი ეყოლება. ასეთი ფორმატით ერთიანი ეროვნული გამოცდები წელს უკანასკნელად ჩატარდება. მომავალი წლიდან ახალი საგამოცდო მოდელი 8+1 ამოქმედდება.

წელს კი მე-12 კლასის მოსწავლეებს ბოლოჯერ უწევთ გამოცდების ორგზის ჩაბარება - მათ მაისის ბოლოს სკოლის გამოსაშვები გამოცდებში მოსინჯეს ძალები.

აბიტურიენტი ანა ბერიძე თსუ-ს სტუდენტობას აპირებს და დღეს ქართულის გამოცდაზე გადის.

"იმედი მაქვს, წარმატებით დავძლევ. მთელი წლის მანძილზე ვმეცადინეობდი. საატესტატოებზეც კარგი ქულა ავიღე. თემის და ესეის დაწერა მომიწევს, ცოტა ვნერვიულობ, მაგრამ დრო საკმარისია - 4 საათი. ვეცდები, თავი მაქსიმალურად წარმოვაჩინო," - ამბობს ანა "24 საათთან" საუბრისას.

ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში პირველად 2005 წელს ჩატარდა და დღემდე განათლების სისტემის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად მიიჩნევა. რამდენიმე თვის წინ მსოფლიო ბანკმა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში გატარებულ ყველაზე ანტიკორუფციულ რეფორმად დაასახელა.

სირიის პრეზიდენტის აღიარება

პირველი გვერდიდან

ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა ტელეკომპანიის შვიდი თანამშრომელი, სრულიად განადგურებულია სტუდია და რედაქცია. თუმცა, ამის მიუხედავად, კომპანიის მესვეურები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. **"ტერორისტების თავდასხმა ჩვენ მაუწყებლობის შეწყვეტას ვერ გვაიძულებს,"** - განაცხადეს ტელეარხის წარმომადგენლებმა. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ შეიარაღებულმა დაჯგუფებამ მოახერხა, სირიის საავიაციო სფეროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი ფარაჯ შეჰადეჰი ტყვედ აეყვანა. მისი ადგილსამყოფელისა და მდგომარეობის შესახებ კონკრეტული ცნობები ამ დრომდე არ არის საჯაროდ გამხელილი.

შეიარაღებული ჯგუფის მოქმედება ქვეყნის ინფორმაციის მინისტრმა ომრან ალ-ზუბიმაც დაგმო, რომელმაც მომხდარი ჟურნალისტიკისა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად შეაფასა. მინისტრის თქმით, სრული პასუხისმგებლობა იმ ძალებს ეკისრება, ვინც ამბოხებულების წაქეზებისგან თავს არ იკავებს. **"განხორციელებული სასაკლაო დაუსჯელი არ დარჩება, ხოლო ტელეკომპანიის მაუწყებლობას ეს ვერ შეაჩერებს. პასუხისმგებლობას კი მთლიანად ევროკავშირს, არაბულ ლიგასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ვაკისრებთ. მათ, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა, მან სისრულეში მოიყვანა არაბული ლიგის საბჭოს გადაწყვეტილება - ჩაახშონ სირიის ხმა,"** - განაცხადა ომრან ალ-ზუბიმ. მინისტრი ბრალდების წაყენებისას დაეყრდნო ევროკავშირის მიერ ლუქსემბურგში მიღებულ გადაწყვეტილებას, სადაც სანქციების გამკაცრებაზე იმსჯელეს. სირიის ოფიციოზი მომხდარში არანაკლებ დამნაშავედ მიიჩნევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მის უშიშროების საბჭოს, როგორც ინფორმაციის მინისტრი აცხადებს, მათგან მომდინარე პროვოკაციული ხასიათის განცხადებების გამო.

მომხდარის გამო და ჟურნალისტთა დაღუპვასთან დაკავშირებით მწუხარება გამოთქვეს სირიის ჟურნალისტთა კავშირმა და ნაციონალურმა მედიასაბჭომ. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელმა თალებ ყადი ამინმა ევროკავშირის ქვეყნების სანქციებიც დაგმო და მას მინისტრის მსგავსად სირიის სიმართლის ხმის ჩახშობის მცდელობა უწოდა. მომხდარის გამო შეშფოთება სირიაში დარჩენილი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმაც გამოთქვეს და დაღუპულთა ოჯახებს დახმარება აღუთქვეს. კონკრეტული საელჩოები და საკონსულოები ჯერჯერობით არ სახელდება, მაგრამ თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ დამასკო ევროპული ქვეყნების დიდი უმრავლესობის დიპლომატიურ წარმომადგენლებს დიდი ხანია დატოვებული აქვთ, საუბარი, სავარაუდოდ, აზიური და აფრიკული სახელმწიფოების წარმომადგენლობებზე უნდა იყოს.

სირიაში და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების პარალელურად, ორიოდე დღის წინ პრეზიდენტთან ერთგულების ფიცი დადეს საგანგებო დეკრეტის საფუძველზე ფორმირებული ახალი მთავრობის წევრებმა. სიტყვით თავის თანამოაზრეებს თავად ბაშარ ალ-ასადმაც მიმართა, რომელმაც საერთაშორისო თანამეგობრობის, კერძოდ კი, დასავლეთისა და თურქეთის პოზიცია გააკრიტიკა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. **"ამ სიტუაციაში ჩვენი ყველა მოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ ერთ რამეზე - ამ ომში გავიმარჯვოთ,"** - მიმართა ახალ კაბინეტს პრეზიდენტმა.

ბაშარ ალ-ასადმა ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის თაობაზე კი განცხადება ტელეკომპანიაზე თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე გააკეთა. ასადის განცხადების პარალელურად მედიით გავრცელდა ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის მიერ გაკეთებულ შეფასებაზეც, რომლის თანახმადაც, სრული საფუძველი არსებობს გრძელვადიანი კონფლიქტის პროგნოზისთვის.

პარალელურად კი ამ დრომდე გრძელდება გააფთრებული ბრძოლები სირიის დედაქალაქის მისადგომებთან რეჟიმის ერთგულ არმიასა და შეიარაღებულ ამბოხებულებს შორის. მხარეები ათობით დაღუპულის შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას, მაგრამ მსხვერპლისა და დაშავებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება. ოპოზიცია ხელისუფლებას მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვაში ადანაშაულებს, მმართველი რეჟიმი კი ქვეყანაში მოქმედ ტერორისტულ ბანდებზე საუბრობს, რომელთაც ზურგს უცხო სახელმწიფოები უმაგრებენ.

დამასკოსა და მის შემოგარენში ახალი ძალით განახლებულ კონფლიქტს შეშფოთებით გამოეხმაურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი სირიაში ჟან-მარი გეენო. მისი თქმით, ძალადობის ხარისხი მიუახლოვდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებამდე არსებულ ვითარებას და არც ის არის გამორიცხული, რომ მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდოს. ამ განცხადებით გეენო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოვიდა ჟენევაში, სადაც საკმაოდ დიდი დრო დაეთმო 25 მაისს ქალაქ ჰულაში მოწყობილი სასაკლაოს დეტალების განხილვასაც. ჰულაში სირიის მმართველი რეჟიმისა და ამბოხებულების დაპირისპირებას, ოფიციალური მონაცემებით, 108 ადამიანი ემსხვერპლა.

ამასთან, რუსულმა მედიამ იმის შესახებაც გაავრცელა ინფორმაცია, რომ ისრაელში პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ვიზიტის დროს გადაწყდა სირიისთვის მოსკოვის მიერ "ეს 300" კლასის მიწა-ჰაერის სარაკეტო სისტემების მიყიდვაზე კონტრაქტის გაუქმება. 100 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტს მოსკოვმა და დამასკომ ხელი შარშან მოაწერეს და ამ დრომდე ძალაში იყო. ვლადიმირ პუტინს სირიის თაობაზე ახლო აღმოსავლეთის ტურნეს ფარგლებში ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი და პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ესაუბრნენ. ანალოგიურ შეიარაღებაზე კონტრაქტს ხელი მოსკოვმა თეირანთანაც მოაწერა 2007 წელს, მაგრამ ეს ხელშეკრულება 2010 წელს გაუქმდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ირანისთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესების შემდეგ.

სირიის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება ჟენევაში 30 ივნისს იგეგმება, სადაც რუსული მხრიდან მონაწილეობას საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიღებს. ჯერჯერობით უცნობია, რუსეთის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, დათანხმდება თუ არა დასავლეთი აღნიშნულ ფორუმში ირანის ისლამური რესპუბლიკის მონაწილეობასაც. მოსკოვი თეირანს სირიის კონფლიქტის რეგულირებაში ერთ-ერთ საკვანძო ფიგურანტად მიიჩნევს, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები და, მასთან ერთად, ევროპა ამ დრომდე არ ეთანხმება.

ბიზნესი

ჩინეთი ლათინური ამერიკის ქვეყნებში იენით შედის და თავის გავლენას აფართოებს

თინა შავაძე

ჩინეთმა გადაწყვიტა, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდასაჭერად 10 მილიარდი დოლარის საკრედიტო ხაზი გახსნას. ეს ინიციატივა ჩინეთის პრემიერმა ვენ ძიაბომ რეგიონში ვიზიტის დროს გააჟღერა.

ასევე, პრემიერი გამოვიდა შეთავაზებით, გაფორმდეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთსა და სამხრეთ ამერიკის სავაჭრო ბლოკ Mercosur-ს შორის, რომელშიც ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი და პარაგვაი შედიან.

ჩინეთი უკვე დიდი ხანია, ცდილობს, ლათინური ამერიკის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაზარდოს.

ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა მიზანი ეკონომიკის სტიმულირების ზრდაა.

ჩინეთი სავალუტო რეზერვების მოცულობით მსოფლიოში ყველაზე დიდი ფონდის მფლობელია და იგი საინვესტიციო შესაძლებლობებს მუდმივად ეძებს.

ლათინური ამერიკის ქვეყნებს მინერალების დიდი მარაგი აქვთ, ჩინეთი კი მინერალური რესურსების უმსხვილესი მომხმარებელია. ჩინეთი ამ რეგიონში სხვადასხვა სახის ნედლეულს ყიდულობს, მაგალითად: რკინას, სპილენძს, მარცვლეულს.

ვენ ძიაბოს განცხადებით, ჩინეთის მიზანია რეგიონში ტვირთბრუნვა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში 400 მილიარდ დოლარამდე გაორმაგდეს, მაგრამ ამისთვის ორივე მხარემ ერთად უნდა იმუშაოს, რათა ვაჭრობაში არსებული ბარიერები მოიხსნას.

გარდა ამისა, ვაჭრობის გაზრდის მიზნით პრემიერმა წამოაყენა ინიციატივა ეროვნული ვალუტის გაცვლაზე შეთანხმების გაფორმების შესახებ. ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის ამგვარი შეთანხმებები საშუალებას მისცემს კომპანიებს, გარიგებები, დოლარის ნაცვლად, ეროვნულ ვალუტაში გააფორმონ.

პეკინს სურს, მსგავსი შეთანხმებები მსოფლიო ბაზარზე იენის პოზიციის განმტკიცებისთვის გამოიყენოს. ჩინეთმა უკვე მოაწერა ხელი ბრაზილიასთან 30 მილიარდი დოლარის ეროვნულ ვალუტაში გაცვლის შეთანხმებას და ახლა ცდილობს, მსგავსი შეთანხმებები რეგიონის სხვა ქვეყნებთანაც გააფორმოს.

ტურისტებმა ბათუმის საუკეთესო სასტუმროდ "შერატონი" დაასახელეს

თინა შავაძე

tripadvisor.com-ზე მომხმარებელი სხვადასხვა ქვეყნების რესტორნებისა და სასტუმროების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებს და მათ "ვარსკვლავებს" ანიჭებს. ტურისტებმა ბათუმის საუკეთესო სასტუმროდ "შერატონი" დაასახელეს.

რეიტინგის ლიდერ, 5-ვარსკვლავიან სასტუმრო "შერატონში" ნომრის ღირებულება 266-დან 383 დოლარამდე მერყეობს. აღნიშნული საიტის 36-მა ვიზიტორმა სასტუმროს 5 ვარსკვლავი მიანიჭა.

სასტუმრო ტურისტებს მეგობრული და პროფესიონალი მომსახურე პერსონალის გამო მოეწონათ.

"სასტუმროში შესანიშნავია - ქალაქისა და ზღვის ბრწყინვალე ხედებით, ფანტასტიკური ოთახებით, მშვენიერი სპა და საცურაო აუზით და ძალიან მეგობრული პერსონალით," - ამბობს საიტის ერთ-ერთი ვიზიტორი.

რეიტინგში მეორე ადგილი "რედისონ ბლუ იბერიამ" დაიკავა, სადაც ნომრის ღირებულება 218-დან 400 დოლარამდეა.

"რედისონს" ხმა მისცა tripadvisor.com-ის 13-მა მომხმარებელმა.

შემდეგი ადგილები კი ასე გადანაწილდა:

Golden Fish Hotel - ნომრის ფასი 91-151 დოლარი;

Hotel Elegant - 60-88 დოლარი;

Best Eastern Intourist-Batumi - 107-153 დოლარი.

პუტინის პომპეზური ვოიაჟი ახლო აღმოსავლეთში

ივა შილაკაძე

25-27 ივნისს ახლო აღმოსავლეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. მან მოინახულა ისრაელი, პალესტინის ავტონომია და იორდანია. არსებული უთანხმოებების მიუხედავად, მას "მეფური" დახვედრა მოუწყვეს. რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტისას ისრაელშიც და პალესტინის ავტონომიაშიც აქცენტი საზეიმო ღონისძიებებსა და კულტურულ პროგრამაზე იყო გადატანილი. ცხადია, იყო ოფიციალური შეხვედრებიც, მაგრამ მათი შინაარსის შესახებ მხარეებს პრესკონფერენციებზე თითქმის არ უსაუბრიათ. განსაკუთრებული ლაკონურობით სწორედ პრეზიდენტი პუტინი გამოირჩეოდა. რაიმე ხელშეკრულებისთვის ხელი არ მოუწერიათ. როგორც ჩანს, უბრალოდ, პოზიციების ერთმანეთისთვის გაზიარება მოხდა და მხარეებმა კონკრეტული სიტყვიერი შეთანხმების მიღწევაც კი ვერ შეძლეს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ვიზიტი ვიზიტისთვის და მისი მიზანი მხოლოდ მეგობრული ურთიერთობების დემონსტრირება იყო.

ჯერ კიდევ ვიზიტამდე პოლიტიკური მიმომხილველების ნაწილი, უფრო რუსეთში, აცხადებდა, რომ სირიის რეჟიმის აქტიური მხარდაჭერის ფონზე პუტინს ისრაელში ვიზიტი რუსეთის იმიჯის "დასაბალანსებლად" სჭირდებოდა. სხვა საქმეა, ასეთი უშინაარსო და გარეგნულ ეფექტებზე გათვლილი ვიზიტი ამ მიზნის მისაღწევად რამდენად გამოდგება. როგორც ჩანს, ასეთი გარეგნული ეფექტები რაღაცისთვის ისრაელსაც სჭირდებოდა. ექსპერტები იხსენებენ, რომ ისრაელში ამ დონეზე ბოლოს აშშ-ს წინა პრეზიდენტს ჯორჯ ბუშ-უმცროსს დახვდნენ (ობამას ასე გულთბილად ისრაელში არ დახვედრიან და ეს, პრინციპში, არც არის გასაკვირი ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესთან მიმართებაში ამ უკანასკნელის პოზიციისა და ისრაელზე მუდმივი ზეწოლის გამო). თუმცა ისრაელში პოლიტიკოსების ნაწილი, მათ შორის, კნესეტის დეპუტატებიც, ღიად ეწინააღმდეგებოდნენ პუტინის პომპეზურ დახვედრას იმ დროს, როდესაც რუსეთი არ წყვეტს სირიის რეჟიმის მხარდაჭერასა და მის შეიარაღებას. არადა, მათი სიტყვებით, დღეს არავინ იცის, ვინ და როდის მივა ისრაელის მეზობელი სირიის ხელისუფლებაში და ვის ხელში აღმოჩნდება ეს იარაღი.

პუტინის ხათრით ორი საათით მთლიანად გადაკეტეს ისრაელის მთავარი ავტომაგისტრალი, რომელიც თელავივიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება. რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი დაიწყო ფაშისტურ გერმანიაზე წითელი არმიის გამარჯვების აღსანიშნავად ძეგლის გახსნით საკურორტო ქალაქ ნეთანიაში. ძეგლის გახსნას საბჭოთა არმიის ვეტერანებიც ესწრებოდნენ. ისრაელში ცხოვრობს სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული, დიდი სამამულო ომის დაახლოებით 10 ათასი მონაწილე. ისინი ყველანი 80 წელს გადაცილებულები არიან, მაგრამ 9 მაისს, ტრადიციულად, ისევ იკრიბებიან და ამ თარიღს აღნიშნავენ. ამიერიდან მათ ამისთვის ადგილიც ექნებათ. ნეთანიაში რუსეთის პრეზიდენტს შეკრებილი ხალხი დიდხანს ელოდა. მისი ვიზიტი ისრაელში დაახლოებით ორსაათიანი დაგვიანებით დაიწყო, თუმცა დიპლომატიური ეტიკეტისთვის ასეთი მიუღებელი მოქმედება პუტინისგან უკვე აღარავის უკვირს, ის ასე ხშირად იქცევა.

ნეთანიაში ვერ ჩავიდა პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ. ცოტა ხნის წინ მას ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი დაეჭიმა და თაბაშირის დადება დასჭირდა. შესაბამისად, ექიმებმა ზედმეტი დაძაბულობისგან თავის შეკავება ურჩიეს. ძეგლის გახსნის ცერემონიას ხელმძღვანელობდა ისრაელის პოლიტიკის პატრიარქი, პრეზიდენტი შიმონ პერესი. თავის ემოციურ სიტყვაში პერესმა ხაზი გაუსვა, რომ ისრაელში ყველას კარგად ესმის საბჭოთა კავშირის როლი ნაციზმზე გამარჯვებაში. "რომ არა ეს გამარჯვება, ჩვენ ალბათ აქ ერთმანეთს ვერ შევხვდებოდით, როგორც თავისუფალი ადამიანები," - თქვა პერესმა. პუტინის გამოსვლაც არანაკლებ ემოციური იყო. მან ებრაელი ხალხის მიმართ თავისი ღრმა პატივისცემა გამოხატა და მადლობა გადაუხადა მათ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

პუტინს ანგარიში გაუწიეს და მისთვის გააფართოეს კულტურული პროგრამა. რუსეთის პრეზიდენტს მოუწყვეს წინასწარ შეუთანხმებელი ღამის ექსკურსია იერუსალიმში, დაათვალიერებინეს ტაძარი, სადაც მაცხოვრის საფლავია, და გოდების კედელი. ის შეიყვანეს მიწისქვეშა გვირაბებშიც, რაც ძველი ტაძრის ნაწილია. რუსეთის პრეზიდენტის პატივსაცემად, ცხადია, გაიმართა ოფიციალური ვახშამიც, ხოლო ცნობილი სასტუმრო "King David Jerulisalem", რომელშიც ბოლო 80 წლის განმავლობაში უამრავ პრეზიდენტს, მეფესა და დედოფალს უცხოვრია, პუტინის ვიზიტის დროს მთლიანად დაკეტილი იყო. რუსეთის პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირებისთვის სამასამდე ნომერი იყო გამოყოფილი.

საერთაშორისო მედია ამდენ ადგილს ვიზიტის საჯარო ნაწილს იმიტომ უთმობს, რომ რეალურად ჟურნალისტებმა ვერ მოახერხეს პრესკონფერენციების დროს პუტინისგან გაეგოთ რაიმე მეტნაკლებად ღირებული ინფორმაცია ვიზიტის შინაარსისა და მიღწეული შეთანხმებების შესახებ. მიუხედავად ისრელის პრეზიდენტ შიმონ პერესის მოწოდებისა თავისი გამოსვლის დროს, პუტინმა არ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ისრაელისთვის ძალიან მნიშვნელოვან ორ რეგიონულ საკითხზე. ეს არის სირიის კრიზისი და ირანის მიერ ბირთვული ბომბის შექმნის მცდელობა. ებრაელი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ ირანს ერთ წელიწადში უკვე შეიძლება ჰქონდეს ყველა კომპონენტი ატომური ბომბის შესაქმნელად და ისრაელი ამ პროცესის დამთავრებას გულხელდაკრეფილი ვერ დაელოდება. პრობლემა შეიძლება მოგვარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ირანი შეწყვეტს ურანის გამდიდრებას 4 პროცენტზე მაღალ დონეზე და დახურავს ბირთვულ ობიექტს ქალაქ ყუმთან.

ცხადია, სირიის კრიზისი, ირანის ბირთვული პროგრამის მიმდინარეობა და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი, რუსეთ-ისრაელის ორმხრივ ურთიერთობებთან ერთად, განხილვის საგანი იყო უმაღლეს დონეზე შეხვედრების დროს, თუმცა საუბრის დეტალების შესახებ მხარეებს საჯაროდ არ ულაპარაკიათ.

რუსეთის პრეზიდენტს ისრაელში ღიად და საჯაროდ სთხოვეს შუამავლობა პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციის მეთაურთან და თან "ფატხ"-ის ლიდერთან აბუ მაზენთან (მაჰმუდ აბასის პარტიული ფსევდონიმი). ისრაელს სურს პალესტინელების დათანხმება სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებაზე. პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მას საჯაროდ მიმართა. "ბატონო პუტინ, ხვალ თქვენ რამალაში მიდიხართ აბუ მაზენთან შესახვედრად. ეს აქედან ათი წუთის სავალზეა. გადაეცით მას, რომ მე მზად ვარ, ჩავიდე მასთან, ან დაე, ის მოვიდეს აქ, ეს მნიშვნელოვანი არ არის. მთავარია, რომ ჩვენ დავიწყოთ მოლაპარაკებები."

ისრაელში პუტინის - "სისხლიანი ხელების მქონე" ლიდერის წინააღმდეგ აქციები მოაწყვეს მხოლოდ მემარცხენე რადიკალური პარტია "მერეცის" წარმომადგენლებმა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებმა, რომლებმაც გააპროტესტეს მათი "თანამოძმეებისთვის" გეი-აღლუმების აკრძალვა რუსეთში, თუმცა პოლიციამ ისინი პუტინთან ახლოს არ მიუშვა.

რუსეთის პრეზიდენტ პუტინს არანაკლებ თბილი დახვედრა მოუწყვეს პალესტინის ავტონომიაშიც. ადმინისტრაციის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა პუტინის სახელი დაარქვა ერთ-ერთ ქუჩას ბეთლემში (ამ ქუჩას აქამდე თებრონი ერქვა). ამ ქუჩაზე მდებარეობს მეცნიერებისა და კულტურის რუსული ცენტრი, რომელიც პუტინმა პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელთან ერთად გახსნა. მაჰმუდ აბასმა წლის დასაწყისში იერიქონში ერთ-ერთ ქუჩას რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის დმიტრი მედვედევის სახელი დაარქვა, ამჟამად კი "პარიტეტი" აღადგინა. ეს ცენტრი აშენებულია რუსული ფულით და რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდება, ისევე როგორც რუსული მუზეუმი იერიქონში, მედვედევის ქუჩაზე. პუტინი ცოტა კი შეცბუნდა ამგვარი პატივით, მაგრამ პროტესტი არ გამოუთქვამს, რომ "მასპინძლებისთვის არ ეწყენინებინა."

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს (ამ ტერიტორიაზეა პალესტინის ავტონომიის ძირითადი ნაწილი) მონახულების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი იორდანიაში ჩავიდა. იქ მას შეხვედრა ჰქონდა მეფე აბდალა II-სთან. იორდანიაში ვიზიტი დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ ქვეყანაში არ ყოფილა ფართო კულტურული პროგრამა და პომპეზური დახვედრა ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის მსგავსად. რუსეთის პრეზიდენტი მეფე აბდალა II-სთან მოლაპარაკებების შემდეგ ისევ გავიდა ჟურნალისტებთან, მაგრამ შეხვედრის შინაარსზე არც იქ უსაუბრია. მან მეტი ხალისით გასცა პასუხი ჟურნალისტების იმ კითხვებს, რომლებიც რუსეთის საშინაო საკითხებს ეხებოდა. უფრო კონკრეტულად, მან იორდანიაში ილაპარაკა ოპოზიციის ლიდერების სახლების ჩხრეკების თაობაზე "მილიონების მარშის" წინ (განაცხადა, რომ ამის შესახებ მაშინ პრესიდან გაიგო) და რუსეთის ფეხბურთის მომავალზე, კერძოდ, ფედერაციის ახალი პრეზიდენტისა და ნაკრების ახალი მწვრთნელის მალე დანიშვნის აუცილებლობაზე.

დედოფალ ელისაბედ II-ის ვიზიტი ჩრდილოეთ ირლანდიაში

სალომე ჭანიაშვილი

დედოფალი ელისაბედ II ჩრდილოეთ ირლანდიაში არაერთხელ ყოფილა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის პრინცესა იყო, იქაურობას სამჯერ ეწვია, კორონაციის შემდეგ მის მრავალრიცხოვან ვიზიტებზე რომ არაფერი ვთქვათ. დიდი ბრიტანეთის დედოფალს ყოველთვის თბილად ხვდებოდნენ, თუმცა არსად ისე დიამეტრულად არ განსხვავდება ხალხის აზრი ბრიტანულ მონარქიაზე, როგორც ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ამის მიზეზია მრავალწლიანი კონფლიქტი ბრიტანეთის ხელისუფლებასა და ჩრდილო-ირლანდიელ სეპარატისტებს შორის, რომელთაც სურთ, რეგიონი გამოყონ ბრიტანეთისგან და ირლანდიას მიუერთონ. პოლიტიკურ მოტივებს წინ უძღვის ეთნიკური და რელიგიური საფუძვლები. ბრიტანეთის კავშირის მომხრეების უმრავლესობა შთამომავლობით ბრიტანელები და პროტესტანტები არიან, მაშინ როდესაც ირლანდიის გაერთიანების მომხრეებს ეთნიკურად ირლანდიელები და კათოლიკეები წარმოადგენენ. ეთნიკურად და კულტურულად ირლანდიელების რაოდენობა 1,8 მილიონიანი მოსახლეობის მესამედ ნაწილს წარმოადგენს.

მართალია, კონფლიქტი ირლანდიაში ჯერ კიდევ არ მოგვარებულა, თუმცა მწვავე ფაზა მინიმუმამდე შემცირდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 1998 წელს ბელფასტში გაფორმდა "დიდი პარასკევის" სამშვიდობო ხელშეკრულება, ხოლო 2005 წელს ირლანდიის რესპუბლიკის არმიამ შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტის თაობაზე განცხადება გააკეთა.

ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჩავიდა ბრიტანეთის დედოფალი, არეულობა დაიწყო. მის ჩასვლამდე ერთი დღით ადრე, სამშაბათს დასავლეთ ბელფასტში 100-მდე ახალგაზრდა, პეტარდებითა (ერთგვარი ფეირვერკი) და მოლოტოვის კოქტეილებით, თავს დაესხა პოლიციას. შეტაკება სავაჭრო ცენტრთან ახლოს მოხდა, რომლის შედეგადაც 9 პოლიციელი დაშავდა. შემთხვევის ადგილას გაიგზავნა დამატებითი ძალები, თუმცა ისინი საჭირო არ გახდა, რადგან ღამე სიტუაცია კვლავ დაწყნარდა. პოლიცია მიიჩნევს, რომ არეულობა არ იყო ორგანიზებული და ამიტომაც სწრაფად დასრულდა.

მოგზაურობის დროს დედოფალს თან ახლავს მეუღლე - ედინბურგის ჰერცოგი. სამშაბათს ისინი შეხვდნენ იმ ადამიანთა ნათესავებს, რომლებიც 25 წლის წინ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ მოწყობილი აფეთქების შედეგად დაიღუპნენ. 1987 წელს მომხდარი ეს აფეთქება იყო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა, რომელიც ჩრდილო ირლანდიაში კონფლიქტის განმავლობაში მოხდა. მის

შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა.

სამეფო წყვილის პატივსაცემად ქალაქის ძირითად ტაძარში საზეიმო ლოცვა აღევლინა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 700-ზე ადამიანი, მათ შორის, კათოლიკე და პროტესტანტი სასულიერო პირები. წირვის შემდეგ დედოფალი შეხვდა კათოლიკური ეკლესიის წმიდა მაკარტინის ეკლესიის მრევლს. ჩრდილოეთ ირლანდიაში კათოლიკურ ტაძარში ბრიტანეთის დედოფალი, რომელიც ანგლიკანური ეკლესიის მეთაურიც არის, პირველად მივიდა.

ვიზიტის ფარგლებში, ოთხშაბათს გაიმართა შეხვედრა მარტინ მაკგინესთან, რომელიც "ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" ყოფილი ლიდერია. დღეს ის პარტია "შინ ფეინ"-ის ("ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" პოლიტიკური ფრთა) ერთ-ერთი ლიდერია, რომელსაც სურს, რომ ჩრდილოეთ ირლანდია გამოყოს ბრიტანეთისაგან. მაკგინესი ამჟამად ჩრდილოეთ ირლანდიის პირველი მინისტრის მოადგილეა. შეხვედრა ბელფასტის თეატრ "ლირიკ"-ში გაიმართა. დამკვირვებლების განცხადებით, ეს შეხვედრა ჩრდილოეთ ირლანდიაში კონფლიქტის მოგვარებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. შეხვედრას ესწრებოდა ირლანდიის პრეზიდენტი მაიკლ ჰიგინსი და ჩრდილოეთ ირლანდიის პირველი მინისტრი პიტერ რობინსონი, აგრეთვე, პრინცი ფილიპი. აღსანიშნავია ის, რომ მაკგინესმა და ელისაბედ მეორემ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, საჯაროდ, ტელეკამერების წინ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და მოწმობს, რომ კონფლიქტები ჩრდილოეთ ირლანდიაში წარსულში დარჩა. აქამდე "შინ ფეინი" ბრიტანეთის დედოფლის ვიზიტების ბოიკოტირებას ეწეოდა.

თეატრში ბრიტანელი და ირლანდიელი მხატვრების გამოფენა მოეწყო. ნახატების გამოფენა სპეციალურად დაამთხვიეს ვიზიტს, რათა დედოფალსა და მაკგინესს საშუალება ჰქონოდათ, ერთმანეთს არაოფიციალურ გარემოში შეხვედროდნენ.

ოთხშაბათს, საღამოს დედოფალ ელისაბედ მეორის ტახტზე ასვლის ბრილიანტის წლისთავისადმი მიძღვნილი წვეულება გაიმართა. სტორმონტსკის ციხეში გამართულ წვეულებაში, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის მინისტრთა რეზიდენციას წარმოადგენს, დაახლოებით ოცი ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

გუდიაშვილის მოედანი N2 - სახლის ხელყოფა დაუშვებელია!

სამსონ ლეჟავა

კარგა ხანია, რაც ჩვენი საზოგადოების მღელვარებას იწვევს გუდიაშვილის მოედანი N2 სახლის მდგომარეობა. ჯერ იყო და, მისი ნგრევა თავის ნებაზე იქნა მიშვებული, ნაცვლად იმისა, რომ პირველადი გამაგრებითი სამუშაოები მაინც წამოწყებულიყო. ბოლოს კი საქმე იქამდეც მივიდა, რომ დაიწყო სახლის დემონტაჟი სრულიად შეუფერებელი, ტლანქი მეთოდებით, რამაც კომპეტენტურ სპეციალისტთა აღშფოთება გამოიწვია.

ეს შენობა პირველხარისხოვანი ძეგლია არათუ მხოლოდ თბილისისათვის, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის! შემთხვევითი როდია, რომ გიორგი ჩუბინაშვილმა - უდიდესმა მეცნიერმა, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის დამფუძნებელმა თავის შესანიშნავ ნაშრომში "ქართული არქიტექტურის გზები" უმნიშვნელოვანესი ადგილი დაუთმო სწორედ ამ ნაგებობას და გამოკვეთა კიდეც XIX ს. ახალი ხუროთმოძღვრული პარადიგმის დამკვიდრებისას - მისი განსაკუთრებული როლი, ნათელყო რა უმაღლესი რანგის სინთეზი (ერთის მხრივ, ადგილობრივ ნიადაგზე არსებითად და დიდი არტისტიზმით სახეცვლილი კლასიციზმის ნიშნები; მეორე მხრივ, აღმოსავლური რიგის ჩინებული ჩუქურთმის არსებობა მასში ჩენილი - ფანტაზიის შეუბორკავი თამაშით). ბატონმა გიორგიმ გამოკვეთა, რომ შედეგად მივიღეთ სრულიად ორიგინალური, გამორჩეული სიკოხტავის მქონე შეხამებები. თანაც შენობა მასშტაბურია და მთელი მოედნის სივრცეს აორგანიზებს.

დიახ, ეს ნაგებობა დიდად თავისებური და საუკეთესო დონის "პალიმფსესტია" XIX საუკუნის 30-90-იანი წლების თბილისური არქიტექტურისა. გ. ჩუბინაშვილისავე მართებული დაკვირვებით, აქ ყველაფერი მნიშვნელოვანია - პროპორციათა დახვეწილობა, სიმსუბუქე, სიმწყობრე, ეზოს ძლიერ აზიდულ კოლონათა გამომსახველობა, დეკორის ფანტასტიკური შესამოსელი... ნურც არაჩვეულებრივ სარდაფებს დავივიწყებთ, ნურც ინტერიერის შესანიშნავ ბუხრებს, ნურც ქვის გამონაკვთულ კოლონებს!

"არტ სტუდიო პროექტის" სტუმრობისას მე ვესაუბრე არტ-სტუდიოს მთავარ არქიტექტორს, ბატ. გოგი სულაბერიძეს ზემოაღნიშნული ძეგლის გამორჩეული ღირებულების შესახებ. მან გაიზიარა გულისტკივილი იმ ვითარების გამო, რაც ახლა იჩენს თავს, ბატ. ლაშა შარტავასთან ერთად გულისხმიერად გამაცნო ის სამუშაოც, რაც შესრულდა ძეგლის კვლევის პროცესში და ისიც აღნიშნა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა შენარჩუნებულ იქნას ძეგლის ავთენტურობა და არ შეიბღალოს მისი ინტერესები. ძალიან კარგია, რომ მას ასეთი პოზიცია აქვს, მაგრამ ეს ყოველივე, სამწუხაროდ, საკმარისი გარანტია მაინც არაა (არც ტენტის გადაფარებაა გამოსავალი, თუმცა სახურავახდილობას ეს სჯობს). მთავარი სულ სხვაა: გადამწყვეტია, რომ ჩვენი დედაქალაქის მერიამ, საკრებულომ და ინვესტორმაც გაითავისონ - ჩვენ ყველას საქმე გვაქვს არა რიგით ძეგლთან (თუმცა ყოველი, ე.წ. "რიგითი" ძეგლიც უკვე ძალიან დიდი ფასეულობაა), არამედ თბილისური ხუროთმოძღვრების შედევრთან, თბილისური LOCUS SPIRITUS-ის ჩინებულ გამოხატულებასთან, თუ გნებავთ, დედაქალაქის თავისებურ სიმბოლოსთან, მის "სავიზიტო ბარათთან"!

ყველაზე მიუღებელი რამ, რაც თან ახლავს ამ უნიკალურ სახლთან დაკავშირებულ პერიპეტიებს, საზოგადოებისათვის ინფორმაციის დახურულობაა. მსგავსი "ჰერმეტიზმი" არაჯანსაღია, დაუშვებელია! ბოლოს და ბოლოს, ასეთი რა პრობლემაა, სახლის წინ დამაგრდეს საინფორმაციო დაფა, რომელზეც წარმოჩნდება, თუ რა სტრატეგიაა დასახული აღსადგენად, რა ეტაპებია გასავლელი რეაბილიტაციის პროცესში?!

ამ ბრწყინვალე ძეგლმა სათანადო ასახვა ჰპოვა სულ სხვადასხვა სფეროში - იგი დახატა გამოჩენილმა ფერმწერმა ალ. ციმაკურიძემ; ლამის "მთავარ გმირად" იქცა იგივე სახლი ცნობილ ქართულ ფილმში "ქეთო და კოტე" - ვ. ტაბლიაშვილის მახვილ თვალს არ გამოპარვია მისი განსაკუთრებულობა; ნ. სევეროვმა - ქართული ხუროთმოძღვრების უდიდესმა მოამაგემ, ფილიგრანულად შესრულებული ნახაზებიც დაგვიტოვა, ხოლო თავის მასშტაბურ წიგნში (უკვე თეორეტიკოსის რანგში) უმაღლესი შეფასებაც მისცა შენობას. ნუთუ ეს ყველაფერი ცოტას ნიშნავს? განა შემთხვევითია, რომ ავტორთა დიდი ჯგუფის მიერ მომზადებულ და 2002 წელს გამოცემულ მშვენიერ ფერად ალბომში თბილისის შესახებ, ისევ და ისევ, სწორედ ამ შენობას (თანაც ორგან) დაეთმო დიდი ადგილი?!

ვიმედოვნებ, რომ არც ხელისუფლება და არც საზოგადოება არ დაუშვებენ ამ პირველხარისხოვანი ძეგლის ნიჩაბზე დადებას, მით უმეტეს, ისედაც ბევრი დიდი ფასეულობაა განადგურებული ანდა განადგურების პირას მყოფი (ამ მწვავე საკითხის ირგვლივ საჯარო პოლემიკა და ფართო მსჯელობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს). ასეთი დამოკიდებულება ყველაზე ღირებული კულტურული მემკვიდრეობისადმი არ შეეფერება სტრატეგიულად სრულიად მართებული არჩევანის მქონე, ევრო-ალტანტიკური სტრუქტურებისაკენ, დასავლური ცივილიზებული სივრცისკენ მტკიცედ მსწრაფველ ჩვენს სახელმწიფოს.

ჯონ სკოფილდის მეორე სტუმრობა

ჯაზის გიტარისტთა "დიდი სამეულის" წევრის კონცერტი ბათუმში 20 ივლისს გაიმართება

ია ვეკუა



თუ ჩვენი ჯაზფესტივალების ისტორიას თვალს გადავავლებთ, 2005 წლის თბილისის ჯაზფესტივალი უდავოდ იმსახურებას განსაზღვრებას "განსაკუთრებული", რადგან ქართველ მსმენელს ერთდროულად რამდენიმე უდიდეს ჯაზშემსრულებელთან მოუწია შეხვედრა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გვესტუმრა ჯორჯ ბენსონი, კონცერტი ჩაატარეს რენდი ბრეკერმა და დევიდ სენბორნმა, ხოლო ფესტივალის დახურვის პატივი ჯონ სკოფილდს ერგო - მუსიკოსს, რომელიც ამჯერად ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალის ერთ-ერთი ვარსკვლავი იქნება.

7 წლის წინ სკოფილდი საქსოფონისტ კრის პოტერთან, ბასისტ დენის ირვინთან და დრამერ ბილ სტიუარტთან ერთად გვესტუმრა, ამჯერად კი ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ ამ უკანასკნელ იახლებს. ბილ სტიუარტი სკოფილდის ძველი მეგობარია, რომელიც ფორტეპიანოზეც არაჩვეულებრივად ასრულებს და მუსიკასაც სწორედ ამ ინსტრუმენტზე ქმნის. პროფესიონალურ მუსიკაში მოხვედრას ბილ სიტიუარტი დიდ მასეო პარკერს უნდა უმადლოდეს, რომელმაც მოგვიანებით ჯონ სკოფილდი გააცნო. ამჯერად, ბილ სტიუარტის გარდა, სკოფილდი გიტარისტ კურტ როზენუინკელთან და ბასისტ ბენ სტრითთან ერთად ჩამოვა და სწორედ მათთან შეამხანაგებული შემოგვთავაზებს არა მხოლოდ ძველ, არამედ 2011 წელს გამოსულ ალბომ A Moment's Peace-ში შესულ კომპოზიციებსაც.

კონეკტიკუტის შტატის მიკარგულ ქალაქში დაბადებულმა ჯონ სკოფილდმა გიტარაზე დაკვრა ბავშვობიდან, 11 წლის ასაკში დაიწყო. მისი მუსიკის პედაგოგი იმდენად იყო შეგირდის ტექნიკით აღფრთოვანებული, რომ იგი თვით უეს მონტგომერის, ჯიმ ჰოლს და ფეთ მარტინოს წარუდგინა და მისი მფარველობა სთხოვა. ცხადია, ასეთ ადამიანებთან ნაცნობობამ თავისი შედეგი გამოიღო - სკოფილდი ჯერ ჯაზით დაავადდა, შემდეგ კი პროფესიონალ მუსიკოსად ჩამოყალიბება დაიწყო. ბერკლის მუსიკალური კოლეჯის დასრულების შემდეგ ჩარლზ მინგუსთან, ჰერბი ჰენკოკთან, ჩიკ კორიასთან, ჯო ჰენდერსონთან, ბილი ქობემთან, ჯორჯ დიუკთან, ჯერი მალიგანთან, მაკოი ტაინერთან, ჯიმ ჰოლთან და გარი ბარტონთან თანამშრომლობდა. განსაკუთრებული გამოცდილება კი 1982 წლიდან მიიღო, როდესაც მაილს დევისის ჯგუფის წევრი გახდა და თითქმის ოთხი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა, მაილსის გავლენით ხვეწდა საკუთარ ტექნიკას, პარალელურად კი მისი სამი ალბომის ჩაწერაშიც მონაწილეობდა. "ხშირად მეკითხებიან მაილს დევისთან მუშაობის გამოცდილების შესახებ, რაზეც საათობით შემიძლია ვილაპარაკო. ვფიქრობ, რომ ყველა ჩემი ალბომიდან Uberjem-ი ყველაზე მეტად მოეწონებოდა. მასში მაილსის სული იგრძნობა," - ამბობს სკოფილდი, გულისხმობს რა 2002 წელს გამოსულ მართლაც არაჩვეულებრივ ალბომს.

ჯონ სკოფილდის სახელი მუსიკალურ წრეებში პოპულარულია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მან საკუთარი მუსიკის შექმნა, რითიც ნოვატორის სტატუსიც დაიმსახურა. გარდა ამისა, თანამშრომლობდა თანამედროვეობის ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან ფეთ მეტენი, ბილ ფრისელი და სხვები. სწორედ ამ მუსიკოსებთან ერთად ქმნის სკოფილდი ჯაზის გიტარისტების "დიდ სამეულს".

ჯონ სკოფილდი ძალიან სახასიათო შემსრულებელია, უყვარს იმპროვიზაცია, რასაც უმაღლესი ხარისხით ასრულებს და რაც ძალიან მოსწონს ნებისმიერი გემოვნების მსმენელს. ამრიგად, აქედანვე შიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე აკადემიური და, ამავდროულად, გიჟური ჯაზდღე სწორედ ჯონ სკოფილდისა და Hollowbody Band-ის კონცერტი იქნება, რომელიც 20 ივლისს ბათუმის კორტებზე გაიმართება.

შავი ზღვის ჯაზფესტივალი 17 ივლისს გაიხსნება, თუმცა ჰედლაინერთა კონცერტები 19 რიცხვიდან დაიწყება. მათ შორის არიან: ბაჩა მძინარიშვილის კვინტეტი და მისი სპეციალური სტუმარი, მესაყვირე დარენ ბარეტი, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ბიტბოქსში Butterscotch, ლარი გრეჰემი და Graham Central Station, უკვე ნახსენები ჯონ სკოფილდი და მისი Hollowbody Band, The Black Eyed Peas-ის წევრი Taboo, ჯო კალდერაცოს ტრიო, ბექა გოჩიაშვილის ახალი სექსტეტი და ბრაზილიური მუსიკის ლეგენდა სერჟიო მენდესი.

"ისტერნ პრომოუშენის" მიერ ორგანიზებულ ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თიბისი სტატუსი, მხარდამჭერია ბათუმის მერია და აჭარის კულტურის სამინისტრო; დამატებითი ინფორმაცია კონცერტების, ბილეთებზე ფასდაკლებებისა და სხვა საკითხების შესახებ კი იხილეთ ვებგვერდზე batumijazz.ge.

ქურდობის ჩადენის მცდელობაში ბრალდებული არასრულწლოვანი სასამართლომ გაამართლა

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ქურდობის ჩადენის მცდელობაში ბრალდებული არასრულწლოვანის საქმე და ის უდანაშაულოდ ცნო.

წარდგენილი ბრალდების თანახმად, რამაზ აბულაძემ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 3 მაისს, დაახლოებით 12 საათზე, ფარულად შეაღწია ფრიდონ ხალვაშის გამზირზე N72-ში მდებარე შენობაში. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას, იგი შეამჩნია მოქალაქე მინდია პაპაძემ რის გამოც, რამაზ აბულაძემ ვერ მოიყვანა სისრულეში დანაშაულებრივი განზრახვა და ვერ მოახდინა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრება.

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული იქნა ბრალდებისა და დაცვის მტკიცებულებები და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი რამაზ აბულაძე თამბაქოს მოსაწევად შევიდა ფრიდონ ხალვაშის გამზირი N72-ში მდებარე ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში, რათა ოჯახის წევრებს არ შეემჩნიათ და მას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა არ ჰქონია.

სასამართლომ არ გაიზიარა სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია, რომ გამოძიების მიერ მოპოვებული მასალებით დასტურდებოდა რამაზ აბულაძის ბრალეულობა, რადგანაც, სასამართლო განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით სრულიად გამოირიცხა ამ მოსაზრებათა საფუძვლიანობა და რამაზ აბულაძე წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

სასამართლო სისტემას სამი ახალი მოსამართლე შეემატა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოების სისტემაში დაინიშნა იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული 3 ახალი მოსამართლე: გელა ბადრიაშვილი, კახაბერ მაჭავარიანი და თამარ ხაჟომია.

ახლადდანიშნულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე მოსამართლის ფიცი დადეს. მოსამართლის ფიცის დადების ღონისძიებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

ახლადდანიშნულმა მოსამართლეებმა 10-თვიანი სწავლების კურსი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარეს.

ფიცის დადების შემდეგ მოსამართლეები თბილისის და საქართველოს რეგიონების სასამართლოებში შეუდგებიან მოვალეობის შესრულებას.

შეხვედრა ლიდერთა სახლის წარმომადგენლებთან

ბათუმის იუსტიციის სახლთან არსებულ ლიდერთა სახლში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდული კლუბის მოსწავლეებთან თემაზე "პროფესიული არჩევანი - მოსამართლე"

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებმა დავით მამისეიშვილმა და ბიძინა სტურუამ, რომლებმაც ამომწურავად გააცნეს შეხვედრის მონაწილეებს სასამართლო სისტემაში დანერგილი სიახლეები, მოსამართლის როლი საქმის განხილვის დროს, შეჯიბრებითობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ უახლოს ხანში ლიდერთა სახლის წარმომადგენლები იმიტრებულ სასამართლო სხდომას გამართავენ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში.

ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევით მომხმარებელთა 85 პროცენტი სასამართლოს ენდობა

სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" სასამართლოს მომსახურების ხარისხის კვლევის პრეზენტაცია გაიმართა. კვლევა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მიერ იყო დაფინანსებული და იგი გამოყენებითი კვლევების კომპანიამ (ARC) ჩაატარა. პრეზენტაციას ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე ტანია ვან დეიკი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე დაესწრნენ.







ევროპის საბჭოს რეკომენდაციები

ევროპის საბჭოს რეკომენდაციით, საქართველოს სასამართლო სისტემაში უკვე სამი წელია პერიოდულად ტარდება სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვები. მიმდინარე წლის 10 თებერვალს უზენაეს სასამართლოში ევროპის საბჭოს ექსპერტებმა სასამართლოს მომხმარებელთა კვლევების ტექნიკასა და ევროპული პრაქტიკის შესახებ ტრენინგიც ჩაატარეს. ტრენინგი მართლმსაჯულების ევროპული კომისიის ეგიდით ჩატარდა და მას სასამართლოს თავმჯდომარეები, მენეჯერები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები დაესწრნენ.

უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ კოლეგებს ევროპის საბჭოს ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე კვლევების ტექნიკასა და თემატიკაზე გაუზიარეს გამოცდილება.

ამჯერადაც, კვლევა ჩატარდა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციების გათვალისწინებით. ძირითადი კითხვები შეფასებითი ხასიათის იყო, რომლის მეშვეობითაც, რესპოდენტი 5-ქულიან შკალით აფასებდა სასამართლოს ფუნქციონირების ამა თუ იმ ასპექტს. როგორც ექსპერტები აცხადებენ, შერჩევის ცდომილება მხოლოდ 3 პროცენტს წარმოადგენდა.

ექვსი სასამართლო და 2011 სასამართლოს მომხმარებელი

კვლევა ჩატარდა 2012 წლის მაისში, კვლევის არეალს წარმოადგენდა 6 ქალაქი -

თბილისი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი.

კვლევის ამოცანა გახლდათ სასამართლო მომხმარებელთა კმაყოფილების საერთო დონის განსაზღვრა სასამართლოს მიერ მათთვის გაწეული მომსახურების მიმართ. ასევე, კვლევის მიზანი იყო სასამართლო სისტემის მიმართ მომხმარებელთა ნდობის ხარისხის განსაზღვრა.

სულ გამოიკითხა 2011 რესპონდენტი, რომელთა ძირითად ნაწილს შეადგენდა მოსარჩელე, მოპასუხე და მხარის ოჯახის წევრი, ასევე საჯარო ინფორმაციის ან დოკუმენტის მაძიებელი პირი.

რაც შეეხება გამოკითხულთა რაოდენობას საქმეთა კატეგორიების მიხედვით. სამოქალაქო საქმეებზე გამოიკითხა 909 სასამართლოს მომხმარებელი (45,2 პროცენტი), სისხლის სამართლის საქმეებზე - 637 (31,7 პროცენტი), ხოლო ადმინისიტრაციულ საქმეებზე - 359 (17,9 პროცენტი).

კვლევის შედეგების მიხედვით, სასამართლოს მომსახურე პერსონალი ყველაზე მაღალი - 5 ქულით შეფასდა, საშუალო შეფასება - 4,6 ქულა დაიმსახურა პერსონალის თავაზიანობამ, კეთილგანწყობამ, გასაგები ტერმინოლოგიით საუბარმა, კომპეტენტურობამ, მომსახურების დროულობამ და ოპერატიულობამ.

მოსამართლეების მიუკერძოებლობა 4,2 ქულით, კომპეტენცია კი 4,3 ქულით შეფასდა. სასამართლოს მომხმარებლებმა 4,6 ქულა მიანიჭეს მოსამართლეების დამოკიდებულებას მოქალაქეების მიმართ, მათი შეფასებით მოსამართლეები პატივისცემით და თავაზიანად ეპყრობიან მოქალაქეებს.

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საქმეთა სწრაფად და კომპეტენტურად განხილვაც გახლავთ, ამიტომ, კითხვარში სასამართლოს მომსახურების ოპერატიულობას ცალკე გრაფები ჰქონდა დათმობილი.

სასამართლო გადაწყვეტილებების კანონით დადგენილ ვადებში ჩაბარება მომხმარებლების მიერ შეფასდა - 4,5 ქულით, სასამართლოში საქმის განხილვის ვადების გონივრულობა - 4,3 ქულით, სასამართლო პროცესები პუნქტუალურად ჩატარება - 4,4, ქულით.

რაც შეეხება სასამართლოს მიმართ ნდობას. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა - 85 პროცენტი ენდობა სასამართლოს.

ინვესტორი ქვეყნების რიცხვი გაიზარდა

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ პირველ კვარტალში 269 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა ქეთევან ბოჭორიშვილმა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უფროსმა ზაზა ჭელიძემ ერთობლივ პრესკონფერენციაზე 2012 წლის პირველ კვარტალში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეაჯამეს და ყურადღება იმ სექტორებზე გაამახვილეს, რომლებშიც ყველაზე დიდი რაოდენობის ინვესტიცია ჩაიდო.

ქეთევან ბოჭორიშვილის განცხადებით, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 269 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 62, ხოლო 2011 წლისას 55 პროცენტით აღემატება. საქართველოს სამი უმსხვილესი ინვესტორი კი გერმანია (49 პროცენტი), თურქეთი (12 პროცენტი) და გაერთიანებული სამეფო (10 პროცენტი) არიან.

ამასთან, გაიზარდა საქართველოთი დაინტერესებული ქვეყნების რიცხვიც. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ინვესტიცია 61 ქვეყნიდან შემოვიდა, 2010 წლის ანალოგიურ პერიოდში მათი რაოდენობა 53-ს, ხოლო 2011 წლის იმავე პერიოდში 56-ს შეადგენდა. ინვესტირება საქართველოში წელს პირველად მოლდოვამ და საუდის არაბეთმა განახორციელეს.

რაც შეეხება ინვესტორებისთვის მიმზიდველ სექტორებს, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა დამამუშავებელ მრეწველობაში - 64.5 მილიონი აშშ დოლარი, საფინანსო სექტორში - 62.5 მილიონი აშშ დოლარი, ასევე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში - 38.1 მილიონი აშშ დოლარი;

ქეთევან ბოჭორიშვილის თქმით, "აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისში რეინვესტირების წილიც საკმაოდ მაღალია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოში გრძელვადიანი ბიზნესის კეთება მომგებიანია. ეს პოზიტიურად აისახება არა მხოლოდ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ ხელს უწყობს ახალი ბიზნესებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას."

საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი წლის ბოლოსთვის პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის მილიარდამდე გაზრდას ელოდება.

ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის თქმით, "თუ პირველი კვარტლის მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ შემოსული ინვესტიციების ძირითადი ნაწილი - 24 პროცენტი გადამამუშავებელ მრეწველობას მოხმარდა. წინა წლებში უძრავი ქონება და პრივატიზაცია იყო ინვესტიციების მთავარი მასტიმულირებელი. ტენდენცია დადებითია და ხელს უწყობს მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, აისახება ვაჭრობაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთი რომელიმე კონკრეტული სექტორი, რომელსაც ქვეყანა ეყრდნობა. ეს ქვეყნის სტაბილურობაზე მიუთითებს და იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანას გააჩნია დივერსიფიცირებული სფეროები. ამ კვარტალში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების კუთხით ლიდერობდა გერმანია, ასევე თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და იაპონია.

პირველ კვარტალში საქართველოში ინვესტიცია 61-მა ქვეყანამ განახორციელა. წინა წლებში 55 ქვეყანა იყო. წელს 6 ახალი სახელმწიფო დაემატა, რომლებმაც საქართველოში ინვესტიციების ჩადება დაიწყეს. ეს, ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობის აქტიურობამ განაპირობა, მეორე მხრივ კი, იმ ფაქტორმა, რომ საქართველო ნამდვილად იმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს ბიზნესსამყაროში."

გიდები დაცული ტერიტორიებისათვის

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის ფარგლებში, ეროვნული პარკების გიდებისა და რეინჯერების გადამზადება იწყება. საქართველოში შემოსული ტურისტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისა და ეკოტურიზმის განვითარების უზრუნველსაყოფად, ამერიკის და გერმანიის მთავრობების მხარდაჭერით, სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება.

გარემოს დაცვის სამინისტროში გერმანიის საერთაშორისო საზოგადოებისა და აშშ-ს შინაგანი დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გიდებისა და რეინჯერების კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ღონისძიებებია დაგეგმილი, რაც ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების ეფექტურ მართვას.

გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძის განცხადებით, "მნიშვნელოვანია, რომ ამერიკისა და გერმანიის მთავრობები აღნიშნულ შეთანხმებაში ჩართული არიან. ბუნებრივმა პირობებმა ცხადყო, რომ დაცული ტერიტორიები საჭიროებს მეტ ცოდნასა და გამოცდილებას, სერვისის გაუმჯობესებას, გამოცდილებას. ეს შეთანხმებაც სწორედ ამ უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს."

გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) პროგრამების დირექტორის ფრენკ ფლაშეს განცხადებით, "შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დაცული ტერიტორიების სააგენტომ და გარემოს დაცვის სამინისტრომ მთავარ პარტნიორებთან გააფორმეს, უკვე ორ წელიწადზე მეტია არსებობს. ნათელია, რომ ეს წარმატებული ხელშეკრულებაა. ყველა დონორს მოვუწოდებთ, შემოგვერთდეს, რომ ერთად შევუწყოთ ხელი შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ბიომრავალფეროვნების დაცვა."

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიის 7 პროცენტი დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს. მათ შემადგენლობაში შედის: 11 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 14 ბუნების ძეგლი, 12 სახელმწიფო აღკვეთილი და 2 დაცული ландშაფტი, რომელიც გაერთიანებულია დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ქსელში

საქართველოს ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და გლობალური თვალსაზრისით. საქართველო, როგორც კავკასიის ეკორეგიონის ნაწილი, ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ "ცხელ წერტილად" არის აღიარებული. კავკასიის ეკორეგიონი ერთ-ერთია იმ ორას ეკორეგიონს შორის, რომლებიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ აღიარებულია კონსერვაციისათვის პრიორიტეტულ ადგილებად შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები, ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებები, მცენარეულობის ტიპების მრავალფეროვნება გლობალურ დონეზე.

რაც შეეხება უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების საქართველოს დაცული ტერიტორიებით დაინტერესებას, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, ვიზიტორთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით 100 პროცენტით გაიზარდა. 2011 წელს დაცულ ტერიტორიებზე 300 000 ვიზიტორი დაფიქსირდა. აქედან 53 000 უცხო ქვეყნის მოქალაქე, 247 000 ადგილობრივი ვიზიტორი. ტურისტების უმრავლესობა კი იმერეთის მღვიმეთა დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა - 152 000 ვიზიტორი. დაცული ტერიტორიების სააგენტო 2012 წელს ვიზიტორთა 50-პროცენტიან მატებას გეგმავს.

თბილისში საქართველო-შვედეთის ბიზნესფორუმი გაიმართება

საქართველოს დელეგაცია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, რამაზ ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით, შვედეთის სამეფოში იმყოფება. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში რეგიონალური განვითარების უწყების პირველი პირი შვედ კოლეგას, კატარინა ელმსეტერსვერდს შეხვდა. მინისტრებმა ორ ქვეყანაში მიმდინარე და განხორციელებულ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, კონკრეტული, სამოქმედო გეგმა დასახეს. შეხვედრას შვედეთის გზების მშენებლობის სახელმწიფო სააგენტოს Sweroad-ის დირექტორი გუნარ ტუნკრანსი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვედეთის სამეფოში, კონსტანტინე ქავთარაძე ესწრებოდნენ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მინისტრი ასევე შეხვდა შვედეთის განვითარების სააგენტოს "SIDA"-ს აღმოსავლეთ ევროპის სამმართველოს უფროსს კლას რასმუსონს. შვედეთის სამეფოს მთავრობა, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით, 2006 წლიდან მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს საქართველოს საერთაშორისო სტანდარტების სანიტარული ნაგავსაყრელების მოწყობისა და ნარჩენების ტრანსპორტირების სისტემის სრულყოფის, ასევე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგების მიზნით. "SIDA"-ს მხარდაჭერით უკვე აშენდა წყლის გამწმენდი ნაგებობები ბორჯომსა და ბაკურიანში.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განცხადებით, აღნიშნული შეხვედრის მიზანი, საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაა. **"SIDA -ს მხარდაჭერით უკვე მოეწყო საერთაშორისო სტანდარტების ნაგავსაყრელი ქვემო ქართლში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოში კიდევ არაერთი მსგავსი პროექტის განხორციელებას გეგმავს. სწორედ ამიტომ, მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ მყარი ნარჩენების მართვის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, სექტემბერში "SIDA"-ს მხარდაჭერით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" წარმომადგენლები შვედეთში სპეციალურ ტრეინინგებს გაივლიან. ისინი ნარჩენების მართვის სფეროში წამყვანი შვედური კომპანიების მუშაობის სპეციფიკას გაეცნობიან. ქართველი სპეციალისტები შვედეთში თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მიიღებენ. შემოდგომაზე კი, საქართველოს SIDA-ს ექსპერტთა ჯგუფი ეწვევა, რომელიც "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას" სტრატეგიის შემუშავებაში ექსპერტულ და ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს,"** - აცხადებენ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, რამაზ ნიკოლაიშვილი შვედეთის სამეფოში მოღვაწე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებსაც შეხვდა. შვედეთის სავაჭრო პალატაში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შემოდგომაზე ქართულ-შვედური ბიზნესფორუმი გაიმართება, რომლის მიზანიც საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებში შვედური კომპანიების ჩართვა და ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვაა. რამდენიმე თვეში, 20-მდე მსხვილი შვედური კომპანის ხელმძღვანელი პირი ჩვენს ქვეყანას ეწვევა, რის შემდეგაც, შესაძლოა, შვედური ინვესტიციები საქართველოში ნაგავსაყრელების მშენებლობის, წყალმომარაგებისა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განხორციელდეს.

სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მეტი ტურისტი საქართველოს ეწვია

საქართველოში ვიზიტით მყოფი ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით საქართველო სამხრეთ კავკასიის ლიდერია.

გაეროს საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2011 წლის განმავლობაში საქართველოს 2 800 000 ტურისტი ეწვია, აზერბაიჯანს - 1 280 000, ხოლო სომხეთს - 758 000. 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში ტურისტების რაოდენობა 39 პროცენტით გაიზარდა.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სტუმრად მყოფმა ტურისტებმა 2010-2011 წლების განმავლობაში, საერთო ჯამში, 900 მილიონ აშშ დოლარზე ოდნავ მეტი თანხა დახარჯეს.

მედიანიუსი

ATA Airlines-ი ბათუმის აეროპორტიდან რეისებს შეასრულებს

ირანული ავიაკომპანია ATA Airlines-ი ხვალიდან, ერთდროულად ორი ქალაქიდან, ბათუმის მიმართულებით პირდაპირი რეისების შესრულებას იწყებს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანია "ტავ ჯორჯია"-დან აცნობეს, რეგულარული ფრენა ირანის დედაქალაქ თეირანიდან ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს განხორციელდება, ხოლო თავრიზიდან ირანელი ტურისტები ბათუმში ჩასვლას ყოველ ხუთშაბათს შეძლებენ.

ავიაკომპანია ფრენებს "ეარბას 320" ტიპის თვითმფრინავით შეასრულებს და მგზავრებს კომფორტულ და უსაფრთხო მოგზაურობას შესთავაზებს.

ქალაქ თავრიზში დაარსებული ავიაკომპანია ATA Airlines-ის ავიაპარკი 9 თვითმფრინავისგან შედგება და მგზავრებს, ადგილობრივ ფრენებთან ერთად, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის მიმართულებით მოგზაურობასაც სთავაზობს. ATA Airlines-სი ქართულ ავიაბაზარზე 2011 წლის მარტიდან შემოვიდა და თავდაპირველად ფრენებს მხოლოდ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ასრულებდა. ბათუმში ტურისტული სეზონის დაწყებასთან ერთად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში რეგულარული და ჩარტერული რეისების რიცხვმა მოიმატა. ამ დროისთვის ბათუმის მიმართულებით რეგულარულ რეისებს ასრულებენ ავიაკომპანიები: Aerosvit, S7 Sibir Airlines-სი და OLT Express-სი. უახლოეს პერიოდში, ATA Airlines-სთან ერთად, მათ რიცხვს შეუერთდება Pegasus-ი და Armavia.

ინტერპრესნიუსი

ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფო ობლიგაციები გაყიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციები გაყიდა, რომელთა დაფარვამდე დარჩენილი ვადა 900 დღე იყო.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აუქციონში მონაწილეობა ოთხმა კომერციულმა ბანკმა მიიღო. მოთხოვნამ 30 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი - 6.89 პროცენტით, მაქსიმალური - 7.03 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 6.95 პროცენტით განისაზღვრა.

ინტერპრესნიუსი

სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში ოთხი კომერციული ბანკი მონაწილეობდა.

მოთხოვნამ 25 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 8.440%-ით, მაქსიმალური - 8.840%-ით, საშუალო შეწონილი კი - 8.644%-ით განისაზღვრა.

კუპონის განაკვეთი 9.8%-ს შეადგენდა. კუპონის გადახდა წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში მოხდება.

პირველი

ამინდი

თბილისი	29°C - 18°C	ნიუ-იორკი	32°C - 22°C
მცხეთა	30°C - 16°C	ლონდონი	23°C - 12°C
რუსთავი	26°C - 12°C	პარზი	29°C - 17°C
თელავი	31°C - 16°C	რომი	32°C - 21°C
გურჯაანი	32°C - 18°C	ბერლინი	24°C - 16°C
სიღნაღი	33°C - 19°C	მიუნხენი	26°C - 15°C
წინანდალი	31°C - 16°C	ვენა	28°C - 18°C
ლაგოდეხი	33°C - 17°C	ბუდაპეშტი	28°C - 16°C
გორი	28°C - 14°C	პეკინი	29°C - 21°C
ხაშური	26°C - 15°C	ტოკიო	23°C - 19°C
ბოლნისი	30°C - 16°C	დელი	40°C - 33°C
მარნეული	30°C - 16°C	მოსკოვი	21°C - 12°C
წყნეთი	27°C - 15°C	კიევი	22°C - 12°C
სიონი	23°C - 12°C	მინსკი	18°C - 9°C
მანგლისი	24°C - 13°C	ტალინი	17°C - 8°C
ცხინვალი	26°C - 12°C	თელ-ავივი	30°C - 22°C
ბაკურიანი	18°C - 8°C	ათენი	32°C - 22°C
გუდაური	15°C - 8°C	სტამბული	27°C - 20°C
ბორჯომი	25°C - 14°C	ანტალია	33°C - 24°C
სურამი	23°C - 15°C	ბაქო	29°C - 21°C
დავით-გარეჯი	26°C - 15°C	ერევანი	32°C - 15°C
ახალციხე	20°C - 14°C	ასტანა	27°C - 13°C
აბასთუმანი	15°C - 11°C	ბიშკეკი	30°C - 18°C
თიანეთი	26°C - 13°C	დუბაი	41°C - 29°C
ქუთაისი	26°C - 19°C	დუშანბე	34°C - 19°C
ზესტაფონი	23°C - 17°C	ვილნიუსი	19°C - 7°C
ხარაგაული	23°C - 17°C	იოჰანესბურგი	21°C - 5°C
საჩხერე	24°C - 16°C	კაირო	37°C - 23°C
ჭიათურა	24°C - 17°C	კიშინიოვი	25°C - 13°C
სენაკი	26°C - 19°C	კოპენჰაგენი	19°C - 14°C
ზუგდიდი	26°C - 18°C	ოსლო	19°C - 9°C
ხობი	26°C - 19°C	რეიკიავიკი	16°C - 8°C
ლანჩხუთი	26°C - 20°C	რიგა	19°C - 9°C
ჩოხატაური	24°C - 19°C	სტოკჰოლმი	20°C - 12°C
ოზურგეთი	23°C - 18°C	ტაშკენტი	36°C - 26°C
სოხუმი	26°C - 17°C	ჰელსინკი	18°C - 8°C
ბათუმი	24°C - 19°C	ბარსელონა	28°C - 22°C
ქობულეთი	24°C - 19°C	ბუქარესტი	29°C - 17°C
გონიო	24°C - 18°C	ვარშავა	23°C - 11°C
ურეკი	23°C - 17°C	ლისაბონი	28°C - 16°C
ფოთი	25°C - 20°C	მადრიდი	35°C - 21°C
ონი	24°C - 16°C	ნეაპოლი	28°C - 21°C
ამბროლაური	24°C - 14°C	პრაღა	24°C - 16°C
მესტია	19°C - 14°C	სოფია	28°C - 9°C
უშგული	14°C - 8°C	სტრასბურგი	29°C - 19°C
ომალო	21°C - 10°C	ფრანქფურტი	28°C - 17°C
შატილი	16°C - 8°C	ჰამბურგი	22°C - 16°C

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი		4.4587
AMD	1000 სომხური დრამი		3.9118
AUD	1 ავსტრალიური დოლარი		1.6461
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი		2.0843
BGN	1 ბულგარული ლევი		1.0456
BRL	1 ბრაზილიური რიალი		0.7944
BYR	10000 ბელორუსული რუბლი		1.9589
CAD	1 კანადური დოლარი		1.5966
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი		1.7046
CNY	10 ჩინური იუანი		2.5738
CZK	10 ჩეხური კრონა		0.7900
DKK	10 დანიური კრონი		2.7539
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა		2.7041
EUR	1 ევრო		2.0470
GBP	1 ინგლისური გირვანქა		2.5615
HKD	10 ჰონკონგური დოლარი		2.1105
HUF	100 უნგრული ფორინტი		0.7158
ILS	10 ისრაელის შეკელი		4.1607
INR	100 ინდური რუპია		2.8735
IRR	10000 ირანული რიალი		1.3572
ISK	100 ისლანდიური კრონი		1.2977
JPY	100 იაპონური იენი		2.0640
KGS	100 ყირგიზული სომი		3.4734
KWD	1 ქუვეითური დინარი		5.8423
KZT	100 ყაზახური ტენგე		1.0974
LTL	10 ლიტვური ლიტი		5.9295
LVL	1 ლატვიური ლატი		2.9139
MDL	10 მოლდავური ლეი		1.3436
NOK	10 ნორვეგიული კრონი		2.7314
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი		1.2965
PLN	10 პოლონური ზლოტი		4.8234
RON	10 რუმინული ლეი		4.5862
RSD	100 სერბიული დინარი		1.7862
RUB	100 რუსული რუბლი		4.9365
SEK	10 შვედური კრონი		2.3217
SGD	1 სინგაპურული დოლარი		1.2795
TJS	10 ტაჯიკური სომონი		3.4361
TMT	10 თურქმენული მანათი		5.7460
TRY	1 თურქული ლირა		0.9016
UAH	10 უკრაინული გრივნა		2.0489
USD	1 აშშ დოლარი		1.6376
UZS	1000 უზბეკური სუმი		0.8689
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი		1.9359
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი		1.4139
QAR	10 ყატარული რიალი		4.4980

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	2.59	+0.02	+0.70%
გაზი	2.88	+0.11	+3.89%
ოქრო	1,575.20	+0.30	+0.02%
ხორბალი	757.50	+10.50	+1.39%
S&P/TSX Composite Index	11,411.50	+77.12	+0.68%
Nasdaq Composite Index	2,879.18	+25.12	+0.88%
Dow Jones Industrial Average	12,633.20	+98.50	+0.79%

აფიშა

კლუბები

21:00 - **ბენდი "Band'a'roll", DJ დათუნა**
სქაიბარი
მეტეხის ქ. 22, მობ: 592 32-32-32
20:00-23:00 - **ქართული სიმღერები ცოცხალი შესრულებით**
რესტორანი "ძველი სახლი"
სანაპიროს ქ. 3. ტელ: 2 365-365
22:00 - **მაია კვირკველია & DJ Dachi**
კლუბი "ქალაქური"
შავთელის ქ. 3 ტელ: 2 365-365
22:00 - **რეზიდენტი DJ თაკო**
ლაუნჯ-ბარი "ქალაქური"
შავთელის ქ. 3 ტელ: 2 365-365
20:00-23:00 - **"ქალაქურის კვარტეტი" - ცოცხალი შესრულებით ქართული ქალაქური სიმღერები ასევე უნივერსალური სიმღერები**
რესტორანი "ქალაქური"
შავთელის ქ. 3 ტელ: 2 365-365
20:30 - **ქართული ხალხური ანსამბლი "ურმული", ქართული ცეკვები**
რესტორანი "მეიდანი"
რკინის რიგის ქ. 6, ტელ: 275-11-88; 590 275-11-88
22:00 - **მღერის შოუ-ბიზნესის ჩაუქრობელი ვარსკვლავი გია სურამელაშვილი და მუსიკა ცოცხალი შესრულებით: საესტრადო ანსამბლი "მღვიმე" (4 ბიჭი და გოგო), ტამ-ტამი, ვიოლინო, საქსაფონი, კინგი**
რესტორანი "მღვიმე"
მტკვრის მარცხენა სანაპირო (მაღაზია "რივერსაიდის" გვერდით) ტელ: 2 305 558/ 2 359 540; 599 56 60 72
19:00 - **რესტორანი "ბერმუხა" განახლებული საკონცერტო შოუ-პროგრამით,**
მაესტრო გია ყარალაშვილის ხელმძღვანელობით. ცოცხალი
შესრულება-როიალი (გია ყარალაშვილი), საქსაფონი, აკორდეონი, ტამტამები,
კლავიში, გიტარა და ფანდური. გაატარეთ სასიამოვნო დრო რესტორან "ბერმუხასთან" ერთად.
რესტორანი "ბერმუხა"
აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. ტელ: 259 69 69; მობ: 598 59 69 69
21:00-24:00 - **ჯაზ ბენდი**
რესტორანი "შარდენის 12"
შარდენის ქ. 12, ტელ: 293-15-56; მობ: 577 480-460
21:00 - **გულიკო ჭანტურია**
კაფე "კალა"
ერეკლე II ქუჩა N 8/10, მობ: 599 79-97-37
21:00-24:00 - **ჯგუფი "ზარები" (ცნობილი ჰიტები)**
პაბი "დუბლინი"
ახვლედიანის ქ. 8, ტელ: 298-44-67

კინოთეატრები

12:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (7,50-8,50 ლარი)
14:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
16:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
18:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (9,50-10,50 ლარი)
20:15 - **"სუპერ მაიკი"** - (9,50-10,50 ლარი)
22:30 - **"სუპერ მაიკი"** - (9,50-10,50 ლარი)
კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 293-22-53, 2 555-000
12:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (7,50 ლარი)
14:45 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (8,50 ლარი)
17:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (9,50 ლარი)
19:45 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (10,50 ლარი)
22:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50 ლარი)
კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 3)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 293-22-53, 2 555-000
12:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (6,50 ლარი)
14:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (7,50 ლარი)
16:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (7,50 ლარი)
18:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (8,50 ლარი)
20:00 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (9,50 ლარი)
22:15 - **"ნეტავ იქ თეატრი არის?!"** - (9,50 ლარი)
კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 4)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 293-22-53, 2 555-000
12:30 - **"სუპერ მაიკი"** - (6,50 ლარი)
15:00 - **"სუპერ მაიკი"** - (7,50 ლარი)
17:30 - **"სუპერ მაიკი"** - (8,50 ლარი)
20:15 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50 ლარი)
22:30 - **"შურისმაძიებლები" 3D** - (10,50 ლარი)
კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 5)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 293-22-53, 2 555-000
12:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (7,50-8,50 ლარი)
14:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
16:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (8,50-9,50 ლარი)
18:00 - **"მადაგასკარი 3" 3D** - (9,50-10,50 ლარი)
20:00 - **"სუპერ მაიკი"** - (9,50-10,50 ლარი)
22:30 - **"სუპერ მაიკი"** - (9,50-10,50 ლარი)
კინოთეატრი "ამირანი" (დიდი დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 299-99-55
12:30 - **"სუპერ მაიკი"** - (6,50 ლარი)
15:00 - **"სუპერ მაიკი"** - (7,50 ლარი)
17:30 - **"სუპერ მაიკი"** - (8,50 ლარი)
20:00 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50 ლარი)
22:30 - **"ადამიანები შავებში III" 3D** - (10,50 ლარი)
კინოთეატრი "ამირანი" (მცირე დარბაზი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 299-99-55

თეატრები

19:45 - **"მარიამ სტიუარტი"** -
(ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი)
რუსთაველის თეატრი (მცირე სცენა)
რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 272-68-68
19:00 - **"რკინის ბიჭები"** -
(ბილეთის ფასი - 10 ლარი)
მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
დ. აღმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 234-28-99, 235-31-52

გამოფენები

გიორგი მახარაშვილის პერსონალური გამოფენა - METAMORPHOSIS -
(მუზეუმი ღიაა ყოველდღე, ორშაბათის გარდა 11:00 - 18:00)
თინათინ თუმანიშვილის სახელობის თბილისის თოჯინების მუზეუმი
შავთელის ქ. 17ა, ტელ: 299-53-37, 299-65-11, 539 220-444
გალერეა "ვანდა" გიწვევთ თენგიზ მარის პერსონალურ გამოფენაზე "უცხო ხილი" -
(გალერეა მუშაობს ყოველდღე 12:00 - 19:00 საათამდე)
გალერეა "ვანდა"
ჭონქაძის ქ. 14. ტელ: 293-42-86, 599 56-99-71
გალერეა "ვერნისაჟი" გიწვევთ თორნიკე აბულაძის პერსონალურ გამოფენაზე "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა". ფერწერა, გრაფიკა, ვიდეო-ინსტალაცია.
გალერეა "ვერნისაჟი"
ძმები ზუბალაშვილების ქ. 7, ტელ: 299-88-08
12:00-19:00 - **ბაია გალერეა წარმოგიდგენთ ამერიკაში მოღვაწე ქართველი მხატვრის ვახო მუსხელიშვილის პერსონალურ გამოფენას - "ალტამირა"**
ბაია გალერეა
შარდენის ქ. 10 ტელ: 275-45-10
თიბისი ბანკის საიუბილეო პროექტის "20წელი/12 თვე" ფარგლებში, თიბისი არტ გალერეაში ცნობილი ქართველი მხატვრის, სცენოგრაფისა და წიგნის ილუსტრატორის, მამია მალაზონიას ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობს -
(გალერეა მუშაობს: ორშაბათი-პარასკევი 12:00-20:00 სთ.)
თიბისი არტ გალერეა
მარჯანიშვილის ქ. 7, ტელ: 227-27-27

კროსვორდები



								8
			3			4	2	
	4	5		1				
5		8	4			1		
3			9		2			5
		6			3	8		9
				7		3	8	
	3	1			9			
6								

		9	5		2		8	
6								9
		5		6	9			
	6		1				9	2
8	9				3		7	
			4	1		8		
7								5
	4		3		7	1		

	7				5	2		
9		4	1			5		
	8		4			6		
5			7		1		2	
	3		2		4		9	
	1		9		6			5
		9			8		6	
		1			7	9		8
		7	6				5	

"დინამო" 50 წლის შემდეგ

პირველი გვერდიდან

"დინამო" ევროპაში პირველი გუნდი გახდა. იმ გუნდის მწვრთნელი იყო ოთარ ქორქია. იმ გუნდში დიდი ხალხი თამაშობდა. დიდ ხალხს სიმაღლეზე დიდი გული ჰქონდა. 11 მოთამაშე და ერთი გული.

"რეალამდეც" მაგარი ამბები იყო. "დინამო" მეოთხედფინალში გადის რუმინულ "სტიაუაზე" და ორ გარჩევაში ორ პრობლემას აგვარებს. რუმინელები გვიგებდნენ, სიმაღლით ბევრს გვიხსნიდნენ და "დინამომ" კლასით მოაგვარა ის პრობლემა. ჩვენმა გუნდმა სერია 159:153 (77:76, 82:77) დახურა. შემდეგი გაჩერება უკვე რეალურად რთულია. "დინამოს" ცსკა გამოუწერეს. რუსული კლუბი რუსული მენტალიტეტით და ბევრი სხვა კოზირით. ჩემპიონთა თასზე საბჭოთა კავშირი "დინამო" და ცსკა იყო. "რეალმა" ტურნირი "კასაბლანკასთან" სპარინგით (84:46, 83:38) გახსნა. "რეალი" კალათბურთი იყო, "კასაბლანკა" - კალათბურთის ბენი ჰილი.

"რეალმა" გაიარა იტალიური "ვარეზეც". მადრიდში 83:62 იყო და იტალიაში "რეალს" მინუს 2 (80:82) გამოატანეს. ხდება ხოლმე. როიალურმა გუნდმა იმ სეზონში ამერიკელი კოშკი, ღონიერი, წუწუნა და ზარმაცი უეინ ჰაიტაუერი დაიმატა. ერთჯერადი კონტრაქტი მრავალჯერადი მოთამაშისთვის. მოგვიანებით ჰაიტაუერი ერთ პოპულარულ ლიგაში ერთ პოპულარულ ბიჭთან ერთად გაირბენს. უეინი NBA-ს და უილტ ჩემბერლენს დაუძმაკაცდა. მანამდე ჰაიტაუერს "დინამოსთან" უნდა მოეგო.

"სტიაუას" შემდეგ "დინამომ" ცსკა დაამშვიდა.

როგორც მოქმედი ჩემპიონი, ცსკა ტურნირში მეოთხედფინალიდან შევიდა და პირველ ეტაპზე ევგენი ალექსეევმა ბიჭები დაასვენა, მთელი გუნდი ნახევარი ძალით ათამაშა და რუსებმა "ისკრა" გადახერხეს 140:110 (85:53, 55:57). "დინამო" ცსკასთან მოსკოვში ძირითადად აგებდა და თბილისში უგებდა.

"დინამომ" რუსი კომუნისტების "ლეიკერსი" გალახა, თითებში სულ სახაზავი ურტყა და ორივე თამაში ავიღეთ. 75:71, 77:66. მერე იყო ფინალი ჟენევაში. ესპანელებმა რუსები (ესე იგი, ჩვენ) არ მიგვიღეს. რუსებმა "რეალი" რუსეთში არ შეუშვეს და ორი დიდი გუნდი ჟენევაში ჩადის. ლამაზ, მოვლილ დარბაზში. Patinoire des Vernets.

"რეალის" სასტარტო ხუთეული - ხოსე ლუის კორტესი (პირველი ნომერი), ფორვარდი ემილიანო როდრიგესი, კიდევ ერთი ფორვარდი კარლოს სევილიანო და ორი ცენტრი. ჰაიტაუერზე ვთქვით და იქვე აკეთებდა საქმეს სტენ მორისონი. ეს ხალხი თავიდან ჩვენს ლეგენდარულ გამთამაშებელს, გურამ მინაშვილს, ილარიონ ხაზარაძეს, ვალერი ალთაბაევს, ანზორ ლეჟავას და ვლადიმერ უგრეხელიძეს უნდა გაეჩერებინა.

გააჩერეს. "დინამო" იგებდა, მერე აგებდა, მერე ისევ იგებდა და ბოლოს 90:83 დასვა. თავის სასარგებლოდ. საქართველოს სასარგებლოდ.

"დინამოში" 90 ქულა რაციონალურად გადანაწილდა - ვალერი ალთაბაევი - 17, ანზორ ლეჟავა - 16, ვლადიმერ უგრეხელიძე - 14, ალექსანდრე კილაძე - 14, ალექსანდრე პეტროვი - 12, გურამ მინაშვილი - 9, ლევან მოსეშვილი - 3, ლევან ინწკირველი - 3, ილარიონ ხაზარაძე - 2, ამირან სხიერელი, რევაზ გოგელია.

"დინამო" ჩვენი გუნდი, ჩვენი ემოცია, ჩვენი სიმართლე, ჩვენი ისტორიაა. "დინამო" ყოველთვის ჩვენი გუნდია. 50 წლის წინ ჟენევაში ქართული გუნდი ჩავიდა. დაისვენა, წაივარჯიშა, ბიჭებმა შეუბერეს და მოიგეს. რაღაც დიდი, განსაკუთრებული, ჩვენი მოიგეს. ის "დინამოც" განსაკუთრებული, ჩვენი იყო. ქართული გუნდი რუსული პასპორტით და მაგარი ხასიათით. "დინამომ" ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის "რეალს" 90:83 დაუსვა, ესპანელ არისტოკრატებს ყური მაგრად აუწია და დაისვენა. "დინამო" ევროპაში პირველი გუნდი გახდა. იმ გუნდის მწვრთნელი იყო ოთარ ქორქია. იმ გუნდში დიდი ხალხი თამაშობდა. დიდ ხალხს სიმაღლეზე დიდი გული ჰქონდა. 11 მოთამაშე და ერთი გული.

ლევან მოსეშვილი იხსენებს: "დინამომ" განსაკუთრებული ტურნირი მოიგო. ცსკა, "რეალი" გრანდები იყვნენ. იმ ტურნირის შემდეგ გრანდი იყო "დინამოც". ერთი სული გვქონდა, როდის ჩავიდოდით საქართველოში და თასს ჩვენს ხალხს მივცემდით. ერთმანეთისთვის, ჩვენი გულშემატკივრისთვის, ოთარ ქორქიასთვის ვითამაშეთ და მოვიგეთ. "დინამომ" ისტორია შექმნა."

ის ისტორია დღეს 50 წლის გახდა.

გილოცავთ.

ახალგაზრდა ბორჯღალოსნებს იმედად მესამე ადგილი დარჩათ

საქართველოს 20 წლამდე მორაგბეთა ნაკრებისთვის სოლტ ლეიკ სიტიში მიმდინარე ახალგაზრდული მსოფლიო თასის "ალაფაზე", შარშანდელის მსგავსად, გადაულახავ ბარიერად იქცა იაპონიის ნაკრები, რომელმაც ახალგაზრდა ბორჯღალოსნები ფინალს მიღმა დატოვა.

ქართველთა თავგანწირულმა თამაშმა შედეგი ვერ გამოიღო. მონდომება აკლდათო, ამის სათქმელად ენა როგორ მოგვიბრუნდება. ბიჭებმა იაპონელებს ხუთი ლელო დაუდეს, მაგრამ აზიის ჩემპიონმა ფიზიკურად გაცილებით ძლიერ ქართველებთან სასურველ შედეგს მაინც მიაღწია. გამარჯვებამდე კი უფრო გამართული რაგბით მივიდნენ - სწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ და არც სისწრაფე დაეწუნებოდათ, რაც მათ საგრძნობ უპირატესობას აძლევდა ბორჯღალოსნებზე. ყველა რგოლში ოსტატურად ირჯებოდნენ. ფიზიკურად ძლიერ ქართველებს უპირატესობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იაპონელთა სწრაფმა მოქმედებებმა თავისი გაიტანა.

საქართველოს ნაკრებმა ვერ შეძლო სათამაშო დისციპლინის შენარჩუნება, რის გამოც ხშირად ჯარიმდებოდნენ. გარდა ამისა, იაპონელებმა ქართველთა რამდენიმე დერეფანი უპრობლემოდ მოიგეს. ტერიტორიულ უპირატესობასაც ხშირად ეუფლებოდნენ.

დავმარცხდით 33:36, თუმცა, ახალგაზრდა ბორჯღალოსნების გარჯა დასაფასებელია.

იაპონიამ მესამე თამაშიც სამი ქულით მოიგო. ამდენჯერვე შეძლო პრემიალური ქულის აღება. ჯგუფში პირველი ადგილი ქულათა მაქსიმუმით დაიკავა და ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში, სადაც მისი მეტოქე იქნება აშშ-ის ნაკრები, რომელმაც ჯგუფში ასევე სამივე თამაში მოიგო, მათ შორის, რუსეთთან.

საქართველოს ნაკრები ზედიზედ მეორედ, მთლიანობაში კი მესამედ ითამაშებს მესამე ადგილისთვის. ბორჯღალოსანთა მეტოქეა შარშან 12 საუკეთესოდან დაქვეითებული ტონგა, რომელმაც ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ჩილე 41:14 დაამარცხა. ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ შეხვედრაში კანადამ ზიმბაბვეს 66:45 აჯობა. კანადელები მეხუთე ადგილისთვის ჩილეს ეთამაშებიან, ზიმბაბვესა და რუსეთის მატჩში კი ტურნირის აუტსაიდერის ვინაობა გაირკვევა.

2012 წლის მსოფლიო თასის "ალაფა"
სოლტ ლეიკ სიტი (აშშ)
B ჯგუფი
26 ივნისი. III წრე

იაპონია - საქართველო 36:33 (29:5)

საქართველო: 15. საბა ნიკოლავა, 14. ზურაბ ძნელაძე, 13. მერაბ შარიქაძე, 12. გიგა გაგოშვილი, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გოდერძი ჭინჭარაული, 9. ვაჟა ხუციშვილი; 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. ვაჟა თაგაური, 3. ზაზა ნავროზაშვილი, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ლაშა ლომიძე.

სათადარიგოები: 16. არჩილ ბეჟუაშვილი, 17. დავით ხიდეშელი, 18. ვახტანგ ახობაძე, 19. გურამ შენგელია; 20. გიორგი მისრიაშვილი, 21. გიორგი ბასილაია, 22. თამაზ მჭედლიძე.

5 ლელო: ძნელაძე (2), ელგუჯაური, ხიდეშელი (2)
4 გარდასახვა: ნიკოლავა, მჭედლიძე (3)
სინბინი: ჭინჭარაული
მთავარი მწვრთნელი: იან სმიტი
თანაშემწეები: ლადო კილასონია, ირაკლი ჭყონია

კანადა - ზიმბაბვე 66:45

1. იაპონია	3	3	0	0	113-114	15
2. საქართველო	3	2	0	1	107-60	11
3. კანადა	3	1	0	2	118-114	7
4. ზიმბაბვე	3	0	0	3	88-148	3

30 ივნისი.
VII ადგილისთვის ზიმბაბვე - რუსეთი
V ადგილისთვის კანადა - ჩილე
III ადგილისთვის საქართველო - ტონგა
ფინალი იაპონია - აშშ

გიგა გურასაშვილი

ანა და მაკა ოლიმპიელები არიან

ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ქართველ ოლიმპიელთა რიგები ჩოგბურთელებითაც შეივსო. საქართველოს პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი და ყოფილი პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი ოლიმპიურ კორტებზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) კვოტით გაემზავრებიან. ასე რომ, ქართველ ოლიმპიელთა ნუსხა 34-მდე გაიზარდა.

ITF-ის მესვეურებმა ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა სრული ნუსხა გამოაქვეყნეს. მანამდე კი იყო იმედი, რომ მსოფლიოს 73-ე ჩოგანი ანა ტატიშვილი კვოტის გარეშე შეძლებდა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებას. საამისოდ კი საჭირო სარეიტინგო ქულები იყო საჭირო.

საქმე ისაა, რომ ერთეულთა თანრიგში ოლიმპიური საგზურები პირდაპირ მიეკუთვნა WTA რეიტინგის 56 საუკეთესო წარმომადგენელს (თითო ქვეყნიდან ოთხზე მეტი მოთამაშე არ დაიშვებოდა), დარჩენილი რვა საგზური კი ITF-ს კვოტაში გასულ და სპეციალური მიწვევის მქონე მოთამაშეებს უნდა გადაენაწილებინათ.

ტატიშვილს სწორედ ITF-ის ერთ-ერთი ადგილი ერგო. იგივე სურათია წყვილთა თანრიგშიც, სადაც, ტატიშვილთან ერთად, ჩახნაშვილსაც მიეკუთვნა საგზური.

ლონდონში საჩოგბურთო ტურნირი 28 ივლისიდან 5 აგვისტომდე, უიმბლდონის კორტებზე გაიმართება. ოლიმპიურ თამაშებზე პირველი წრის დაძლევა 55 სარეიტინგო ქულად ფასობს, ბრინჯაოს მედალი - 340 ქულად, ვერცხლი - 470, ხოლო ჩემპიონი 685 ქულით შეივსებს მარაგს.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტები

1. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
2. ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა)
3. მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
4. მალხაზ ზარქუა (თავისუფალი ჭიდაობა)
5. დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
6. დავით ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
7. დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
8. გია მაჭავარიანი (ძალოსნობა)
9. რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა)
10. ირაკლი თურმანიძე (ძალოსნობა)
11. ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა)
12. მერაბ თურქაძე (კრივი)
13. ლადო ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
14. გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა)
15. ზურაბ დათუნაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
16. ამირან პაპინაშვილი (ძიუდო)
17. ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო)
18. ნუგზარ ტატალაშვილი (ძიუდო)
19. ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო)
20. ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო)
21. ირაკლი ცირეკიძე ან ლომერ ჟორჟოლიანი (ძიუდო)
22. ადამ ოქრუაშვილი (ძიუდო)
23. ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
24. სოსო ჯაბიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
25. რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
26. ვლადიმერ გეგეშიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
27. გურამ ფერსელიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
28. მარიამ გოგოლაძე (მძლეოსნობა)
29. ირაკლი ბოლქვაძე (ცურვა)
30. ბოლესლავ სხირტლაძე (მძლეოსნობა)
31. მასიეჟ როსიევიჩი (მძლეოსნობა, საბოლოო დადასტურების რეჟიმშია პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან)
32. დავით ილარიანი (მძლეოსნობა)
33. ანა ტატიშვილი (ჩოგბურთი)
34. მაკა ჩახნაშვილი (ჩოგბურთი)

ანა უიმბლდონის მეორე წრეს ორ სეტში გამოეთიშა

საქართველოს პირველ ჩოგანს ანა ტატიშვილს ჰქონდა შესაძლებლობა ნავსი გაეტეხა და უიმბლდონის მესამე წრეში ეასპარეზა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ასეთი შესაძლებლობა ძალიან მალე გაანიავა. მსოფლიოს 145-ე ჩოგან იტალიელ კამილა ჯორჯისთან დაპირისპირებაში მსოფლიოს 73-ე ჩოგანი 3:6, 1:6 დამარცხდა და უიმბლდონი დატოვა. ანა ტატიშვილს უიმბლდონზე დაბრუნების შანსი ისევე მალე მიეცემა, როგორც შეხვედრა დათმო. სხვაობა ისაა, რომ ქართველი ჩოგბურთელი უიმბლდონის ბალახს ოლიმპიელის რანგში დაუბრუნდება. ლონდონის ოლიმპიური თამაშების საჩოგბურთო შეხვედრებს 28 ივლისიდან 5 აგვისტომდე სწორედ უიმბლდონის კორტები უმასპინძლებს.

ჩოგბურთელებს გააჩუმებენ

ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის (ITF) და პროფესიონალ ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) წარმომადგენლებმა დიდი სლემის ოთხივე ტურნირის ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშავეს გეგმა, რომლითაც კორტებზე ქალ ჩოგბურთელებს თამაშისას ხმამაღალი კვნესა აკრძალული ექნებათ.

ყვირილის საზომი ხელსაწყო მსაჯს ექნება და თუ ჩოგბურთელი ქალების კვნესამ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, არბიტრი საჭირო ზომებს მიიღებს.

WTA-ს ხელმძღვანელის, სტეისი ალასტერის თქმით, ჯერჯერობით უცნობია, როდიდან დაინერგება ეს ნოვაცია. ცნობილი ჩოგბურთელებიდან ყველაზე მეტს მარია შარაპოვა ხმაურობს. ეს კვნესა მის სავიზიტო ბარათად იქცა. თამაშისას მარიას ხმაურის სიდიდე 105 დეციბალს აღწევს. ამის გამო შარაპოვას მეტოქეებს ხშირად პრეტენზიაც კი გამოუთქვამთ.

ესპანეთი ფინალშია!

კრისტიანო რონალდო ნახევარფინალში დარჩა, ესპანეთი ფინალში გავიდა

ესპანეთი ზედიზედ მეორედ ითამაშებს ევროპის ჩემპიონათის ფინალში და ტიტულის შენარჩუნებას გერმანია-იტალიის შორის გამარჯვებულთან შეეცდება. ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდებს ევრო 2012-ის გადამწყვეტ მატჩში სათამაშოდ გვარიანი ბრძოლის გადახდა მოუწიათ - პორტუგალიელებმა ისე გააფთრებით იბრძოლეს 120 წუთის მანძილზე, რომ საქმე პენალტების სერიამდე მიიყვანეს.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ პორტუგალიელთა მწვრთნელი პაულუ ბენტუ სასტარტო შემადგენლობაში ერთ ცვლილებას განახორციელებდა - ტრავმირებული ცენტრფორვარდის ელდერ პოშტიგას ნაცვლად უგო ალმეიდას ათამაშებდა. ხოლო ესპანელთა თავკაცის ვისენტე დელ ბოსკეს გადაწყვეტილებამ, ალბათ, ბევრი გააკვირვა - არც სესკ ფაბრეგასი, არც ფერნანდო ტორესი და არც ფერნანდო ლორენტე, რომლის ხილვასაც ესპანური მედია ამ მატჩშიც მაინც ვარაუდობდა - დელ ბოსკემ ძირითადში ადგილი ალვარო ნეგრედოს ანდო.

ნეგრედო მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვალა დელ ბოსკემ და მოედანზე სესკ ფაბრეგასი შეუშვა, პორტუგალიელები იმდენად ჟინიანად და გააზრებულად მოქმედებდნენ ნახევარდაცვაში, რომ ევროჩემპიონებს ბურთის ჩვეული კონტროლი არ დაანებეს და საგოლე მომენტების გახსენებაც ალბათ გაგვიჭირდება.

პაულუ ბენტუს ტაქტიკამ კარგად იმუშავა - ესპანელებს ბურთი არ დაანება და კრიშტიანო რონალდოს იმედად კონტრეშეტევებსაც ახერხებდა, ეგ კი არა, ძირითადი დროის ბოლო წუთზე პორტუგალიელთა კაპიტანს კარგი მომენტიც შეექმნა, მაგრამ მისი დარტყმული დიდი მანძილით ასცდა კასილიასის კარს.

დამატებით დროში უპირატესობას სრულად დაეუფლნენ ესპანელები, შეცვლაზე შემოსულმა პედრომ რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია მეტოქის კარს, მაგრამ, თამაშის ბედი მაინც პენალტების სერიამ გადაწყვიტა.

ალბათ, ესპანელთა ბევრ ქომაგს გული წაუვიდა, როცა პენალტის დასარტყმელად სერხიო რამოსი გაეშურა, მაგრამ "რეალის" "ბაიერნთან" სირცხვილნაჭამმა მცველმა პირლოს სტილში გაიტანა და ძნელი გამოსაცნობი აღარ იყო, რომ ბრუნო ალვეში ვეღარ შეაგდებდა - ასეც მოხდა, ალვეშმა ეშლი იანგი გაიმეორა, ბურთი ხარიხას მძლავრად გაარტყა და ესპანელთა ფინალში გასვლის ბედი სესკ ფაბრეგასის ფეხზე ეკიდა - "ბარსას" ფორვარდმა ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, რომელიც მერე კარის ბადეში აფართხალდა და ...

კრისტიანო რონალდოს პენალტი არ დაურტყამს, ალბათ, ბოლო, საფინალო დარტყმის მოლოდინში იყო, თუმცა საფინალო ფაბრეგასს ერგო და მანაც ესპანეთს მეორედ ტიტულის მოპოვების შანსი მისცა.

და ბოლოს, იკერ კასილიასი, მეკარე და კაპიტანი, რომელმაც დიდწილად გადაწყვიტა ამ სერიის ბედი - ესპანელთა პირველი გაცუდებული პენალტის შემდეგ, კასილიასმა თანაგუნდელებს რწმენა და გამარჯვების მოპოვების შანსი შეუნარჩუნა - მოუტინიუს აუღო.

ევროპის ჩემპიონატი.
ნახევარფინალი.
პორტუგალია - ესპანეთი 0:0
(დ.დ. 0:0) პენ. 2:4

იტალია ასპროცენტიანი გერმანიის შეჩერებას შეეცდება

გერმანიის ნაკრები

დღეს ვარშავაში, "ნაციონალურ" სტადიონზე, ევრო 2012-ის მეორე ნახევარფინალში იტალიისა და გერმანიის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გავეცნოთ დღევანდელი მატჩის მონაწილეებს.

იტალია

ევრო 2012-ზე "სკუადრა აძურამ" ბრწყინვალე ფეხბურთი აჩვენა და ნახევარფინალში მისი გასვლა მოულოდნელი არ იყო, თუმცა, ტურნირის დაწყებამდე, მოსამზადებელ ეტაპზე, იტალიელები არ ტოვებდნენ კარგ შთაბეჭდილებას (გავიხსენოთ რუსებთან 0:3 წაგებული თამაში). ევროპის პირველობაზე კი პრანდელის გუნდი მშვენიერ ფეხბურთს არჩვენებს.

ტაქტიკა: ანდრეა ბარძალის ტრავმის გამო პრანდელი იძულებით ტაქტიკურ ცვლილებაზე წავიდა. იტალიელთათვის ჩვეული 4-3-1-2 სქემის ნაცვლად, მან პირველ ორ მატჩში 3-5-2 სქემა არჩია, თანაც, დაცვაში დანიელე დე როსი დაწია. პირველ ორ შეხვედრაში იტალიელებმა შემტევი ფეხბურთი აჩვენეს, თუმცა, ორივე თამაში ფრედ დაასრულეს. ბარძალის დაბრუნების შემდეგ პრანდელი ჩვეულ სქემას დაუბრუნდა და დე როსი ნახევარდაცვაში დააბრუნა. ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში "სკუადრა აძურამ" დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ირლანდიასთან, მეოთხედფინალში კი ინგლისთან მატჩში სრულ უპირატესობას ფლობდა.

წამყვანი ფეხბურთელი: ანდრეა პირლო - იტალიელთათვის ტრიუმფალურ 2006 წლის მუნდიალზე პირლო გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ანდრეს მნიშვნელობა მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ევროპის ჩემპიონატზე პირლო ვირტუოზულად მართავს იტალიის ნაკრების თამაშს. სწორედ მისი იდეალური პასის შემდეგ გაიტანა დი ნატალემ გოლი ესპანელთა კარში. ხორვატიასთან მატჩში საფირმო ჯარიმა შეასრულა, ინგლისთან პენალტების სერიაში კი სწორედ პირლოს პენალტმა გატეხა ბრიტანელები ფსიქოლოგიურად. "პირლო რომ დაიღალოს, მსოფლიოს საუკეთესო ნახევარმცველად რჩება", - ამბობს ალესანდრო დიამანტი.

ევრო ნახევარფინალები

05.06.1968. იტალია - სსრკ 0:0 (იტალიამ წილისყრით მოიგო), (ნეაპოლი)

22.06.1988. სსრკ - იტალია 2:0 (შტუტგარტი)

29.06.2000. იტალია - ჰოლანდია 0:0 (3:1 პენალტების სერია), (ამსტერდამი)

გუნდი: პრანდელის ხელში "სკუადრა აძურა" გაიფურჩქნა. ამ მწვრთნელმა იტალიის ნაკრებთან ერთად უკვე 24 მატჩი გამართა და წინსვლა აშკარაა. პრანდელიმ გუნდში იდეალური ატმოსფერო შექმნა. ერთ-ერთ ვარჯიშზე დი ნატალემ და ბალოტელიმ მოილაპარაკეს და კასანოს დაგდება სცადეს. "გადაირიეთ? გინდათ, ტრავმა მივიღო?" - სიცილით იკითხა კასანომ. ეს სამი ფორვარდი ნაკრებში კონკურენტები არიან, თუმცა, მათ ურთიერთობაზე ეს არ აისახება.

"გუნდში შექმნილი ატმოსფერო იდეალურია", - ამბობს კასანო.

ვარშავა: შეიძლება ითქვას, რომ ანტონიო კასანო ერთადერთი ფეხბურთელია იტალიის ნაკრებში, ვისაც ვარშავასთან კარგი მოგონებები აკავშირებს. 2003 წელს კასანომ სწორედ ვარშავაში შეძლო ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლის გატანა, თუმცა, თავად ნაკრები იმ შეხვედრაში 1:3 დამარცხდა.

ვარშავაში არც იტალიურ კლუბებს უმართლებთ. ევროტურნირების 6 მატჩიდან იტალიურმა კლუბებმა მხოლოდ ერთი მოიგეს. სამი თამაში ფრედ დასრულდა და ორში აპენინელები დამარცხდნენ.

სუსტი მხარე: პრანდელი ყოველმხრივ ცდილობს გაადააჩვიოს ნაკრები ერთ მავნე ჩვევას. საკმარისია იტალიელები ანგარიშში დაწინაურდნენ და მერე უკან იხევენ, რათა მინიმალური უპირატესობა შეინარჩუნონ. ასე იყო მატჩში ესპანეთთან და ხორვატიასთან. "უკან ძალიან ღრმად დავიხიეთ. გუნდი უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობდა. ეს ფსიქოლოგია უნდა მოვიშალოთ", - აცხადებს პრანდელი.

გერმანია

ნახევარფინალში გასვლით გერმანიის ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტურნირის ფავორიტაია. იოახიმ ლიოვის ბუნდესნაკრები ერთადერთი გუნდია მიმდინარე ევროზე, რომელმაც ჯერჯერობით ყველა თამაში მოიგო. 2010 წლის მუნდიალის შემდეგ გერმანიის ნაკრები დაღვინდა და გაცილებით ძლიერ ფეხბურთს აჩვენებს.

ტაქტიკა: მიმდინარე ევროზე, შესაძლოა, გერმანიის ნაკრები ისეთ ლაღ და სანახაობრივ ფეხბურთს არც აჩვენებს, როგორსაც ორი წლის წინ მუნდიალზე, მაგრამ ამაში გერმანელთა "დანაშაული" მინიმალურია. საქმე ისაა, რომ ამ ორ წელიწადში ლიოვის გუნდმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მეტოქეები გერმანიის ნაკრებს ძალიან მჭიდროდ და ხისტად ეთამაშებიან. გამონაკლისი არც ჰოლანდიის ნაკრები იყო, რომელსაც გერმანელებთან ორბურთიანი უპირატესობით სჭირდებოდათ მოგება. მიუხედავად ამისა, თამაში დაცვით სტილში წარმართა. შედეგად, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებს კომბინაციური თამაშისთვის ნაკლები სივრცე ეძლევათ. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების სათამაშო სქემა არ იცვლება. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან მოყოლებული, ლიოვის გუნდი 4-2-3-1 სქემით თამაშობს.

წამყვანი ფეხბურთელი: სამი ხედირა ბასტიან შვაინშტაიგერის ჩრდილშია მოქცეული. თურქული წარმოშობის ნახევარმცველის ნაკრებში აყვანის მიწანშეწონილობაზე გერმანიაში ტურნირის დაწყებამდე ზოგიერთი ლაპარაკობდა კიდეც, თუმცა, ევრო 2012-მა დაამტკიცა, რომ "რეალის" საყრდენი ბუნდესნაკრების მთავარი ფეხბურთელია. "ის ნამდვილ ლიდერად იქცა. სამი ბრწყინვალედ თამაშობს", - ამბობს იოახიმ ლიოვი.

ევრო ნახევარფინალები

14.06.1972. ბელგია - გფრ 1:2 (დერნე)

17.06.1976. იუგოსლავია - გფრ 2:4 (დამატებითი დრო), (ბელგრადი)

21.06.1988. გფრ - ჰოლანდია 1:2 (ჰამბურგი)

21.06.1992. შვედეთი - გფრ 2:3 (სოლნა)

26.06.1996. გერმანია - ინგლისი 1:1 (6:5 პენალტების სერია), (ლონდონი)

25.06.2008. გერმანია - თურქეთი 3:2 (ბაზელი)

გუნდი: ბუნდესნაკრებში იდეალური ატმოსფერო სუფევს. ამასთან, ლიოვს დიდი არჩევანი აქვს. ამიტომ მას შემადგენლობის ვარირების საშუალება ეძლევა. ცხადია, ზოგიერთი ფეხბურთელი უკმაყოფილო რჩება - თამაში ყველას უნდა, ლიოვს კი მინდორზე მხოლოდ 11 ფეხბურთელის გაყვანის საშუალება აქვს. თუმცა, ჯერჯერობით გერმანიის ნაკრებში გუნდური ინტერესები პირადულს ჩრდილავს. "ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ერთად ვარჯიში სიამოვნებას გვანიჭებს. მინდვრის მიღმაც ვმეგობრობთ", - ამბობს მარკო როისი, რომელსაც რეალურად მხოლოდ მეოთხედფინალში მიეცა თავის გამოჩენის შანსი.

ვარშავა: გერმანიის ნაკრებს ვარშავაში ოთხი მატჩი აქვს გამართული და არც ერთი არ წაუგია. ეს ქალაქი გერმანული კლუბებისთვისაც იღბლიანია. ევროთასებზე ვარშავის "ლეგიის" წინააღმდეგ არაერთ გურმანულ კლუბს უთამაშია და არც ერთი არ დამარცხებულა.

სუსტი მხარე: აქამდე გამართულ ყველა შეხვედრაში იყო ეპიზოდები, როდესაც ბუნდესნაკრები, შესაძლოა, მდევრის როლში ყოფილიყო. რა მოხდებოდა ამ შემთხვევაში, არავინ იცის. ერთი ფაქტია: გერმანიის ნაკრებს უყვარს შეტევაში თამაში და ზოგჯერ ამას გუნდის დაცვითი პოტენციალი ეწირება.